ლელო

№ 57
(11 307)

27 – 29 ივლისი, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ხვალ, 28 ივლისს!

ჩემპიონთა ლიგა



„დინამო" (თბილისი) – „ზიმბრუ" (კიშინიოვი)

## მაია ჩიბურდანიძე: შეუპოვრად ვემზადებოდი, ვნახოთ!

**კვირას ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზების, ცოტა არ იყოს, დაგვიანებით მიღების შემდეგ, რაზედაც ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, გაფრინდნენ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეები მაია ჩიბურდანიძე და ზურაბ აზმაიფარაშვილი.**



აშშ-ში გამგზავრების წინ ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს.

● ***მაია, თქვენ ერთბაშად მსოფლიოს ორ ჩემპიონატში მოგელით მონაწილეობა: ჯერ ვაჟთა, ხოლო შემდეგ ქალთა შორის. ეს ხომ საგანგებო მომზადებას საჭიროებს.***

— დიახ, მე ეს სავსებით შეგნებული მქონდა. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ასეთი ინტენსიური მომზადება სხვა დროს არც მქონია. დიდი მადლობა უნდა გადავუხადო ბატონ გოგი თოფაძეს, რომელმაც პირდაპირ ფასდა-

იხ. მე-2 გვ.

## ფეხბურთელი ქალები კვლავ გვაოცებენ თავიანთი ოსტატობით

**ქალთა ფეხბურთმა პანამერიკულ თამაშებშიც დიდი ინტერესი გამოიწვია**



## ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოსვლა...

ადრე მოლდავეთის პირველობაზე ასეთი უპირატესობა სხვებთან შედარებით არც ერთ კლუბს არა ჰქონია. მართალია, კიშინიოვის „ზიმბრუ" ქვეყნის უძლიერეს კლუბად ითვლებოდა, მაგრამ სხვა გუნდები სერიოზულ კონკურენციას უწევდნენ. 1998-99 წლების ჩემპიონატში კი „ზიმბრუმ", იგი სემიონ ალტმანი წვრთნის, რომელიც ოდესლაც ოდესის „ჩერნომორეცის" ფეხბურთელი იყო, პირველი ადგილი შეჯიბრების დამთავრებამდე გაცილებით ადრე გაინაღდა. გუნდმა 26 თამაშიდან 18 მოიგო, 7 ფრედ დაასრულა და მხოლოდ 1 წააგო. „ზიმბრუმ" 61 ქულა მოაგროვა ბურთების შესანიშნავი სხვაობით 43-9. მართალია, ჩემპიონს ისეთი გამოკვეთილი სნაიპერი არა ჰყოლია, როგორც მეოთხე ადგილზე გასული ტირასპოლის „შერიფის" თავდამსხმელი როგაჩოვია, — იგი 21 გოლით პირველ ადგილზე გავიდა „ზიმბრუს" ფორვარდმა გავრილიუკმა 10 გოლით მეორე ადგილი დაიკავა, მისმა კიდევ ერთმა ფეხბურთელმა კულიკმა კი 6 გოლი გაიტანა და მე-3-5 ადგილები გაიყო.

„ზიმბრუმ" მთელი 10 (!) ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ კიშინიოვის „კონსტრუქტორულს". „ტილიგულმა" 39 ქულა მოაგროვა, „შერიფმა", სადაც საქართველოს ნაკრების მცველი ვაჟა თარხნიშვილი თამაშობდა (ახლა მას თბილისის „ლოკომოტივიდან" გადასული დავით მუჯირიც დაემატება), 37 ქულით დაასრულა შეჯიბრება, ოდესღაც კარგად ცნობილი კიშინიოვის „ნისტრუ" კი 19 ქულით მხოლოდ მეათე ადგილზე აღმოჩნდა.

ერთი სიტყვით, „ზიმბრუს" უპირატესობაში ეჭვიც არავის ეპარებოდა, მაგრამ კლუბს მთავარ ამოცანად ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოსვლა დაუსახეს. შარშანდელ ევროპულ

იხ. მე-3 გვ.

## საშინაო ამხანაგური თამაშები

საქართველოს ახალი ეროვნული ჩემპიონატის წინ ჩვენი საფეხბურთო კლუბები ერთმანეთში ამხანაგურად ამოწმებენ თავიანთ მზადყოფნას. მცხეთაში „ვიტ-ჯორჯიამ" 6-4 მოუგო თსუ-ს. ლოკომოტიველებმა მეტოქედ ფოთის „კოლხეთი" შეარჩიეს და ფოთელებთან „გურიის" ბაზაზე შეკრებიდან ჩავიდნენ სათამაშოდ. რკინიგზელებმა გაიმარჯვეს 2-1. მათთვის ამ მატჩს „ლინფილდთან" მომავალი შეხვედრის წინ საკონტროლო ხასიათი უფრო ჰქონდა. ამ გუნდებს შორის კიდევ ორი ამხანაგური მატჩი გაიმართება, ერთ შეხვედრას კი თბილისელები ბათუმელებთან ჩაატარებენ.



მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა ბრაზილიელი პელე ამ დღეებში ბავშვთა მეორე საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირის გახსნას დაესწრო ვენესუელაში კარაკასის ოლიმპიურ სტადიონზე. ცხადია, ფეხბურთის მეფე ბავშვების გარემოცვაში მოექცა და ისიც გულუხვად ურიგებდა ნორჩებს ავტოგრაფებს.

## „ტორპედო" ჰოლანდიაშია

**ჰოლანდიაში საწვრთნელ შეკრებაზე გასულ შაბათს გამგზავრებულმა დავით ყიფიანის ქუთაისის „ტორპედომ" უკვე მოასწრო პირველი საკონტროლო მატჩის ჩატარება „ლიერსთან". მატჩი ფრედ 1-1 დამთავრდა.**

## მედლები ირანიდან



აიათოლა ხომეინის დაბადებიდან 100 წლისთავს ირანელებმა მოკრივეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი მიუძღვნეს. 6 ქვეყნის 80-მდე ტყავის ხელთათმნის ოსტატებთან ერთად ძალას სცდიდნენ ქართველი სპორტსმენებიც. 71 კგ წონის მოკრივეთა შორის ტოლი არ ჰყავდა ნარაზენელ ლევან ჯანჯღავას. მეორე ადგილებზე გავიდნენ ფოთელები პაატა გვასალია (67 კგ) და კახაბერ ხურცილავა (81), უმედლოდ ფოთში არც მძიმე წონის თემურ ხურცილავა ბრუნდება. იგი „ბრინჯაოს" დასჯერდა. ამავე სინჯის მედალი ერგო თბილისელ რევაზ ბოჭორიშვილს (67).

## წოდების მინიჭება

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა „სპორტის დამსახურებული მუშაკის" წოდება მიანიჭა:**

**ბრიგოლ კუჭაიძეს** – ქ. ქუთაისის სპორტკომიტეტის უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის დირექტორს;
**თეიმურაზ ასათიანს** – საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სპორტის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს;
**შოთა ტატიშვილს** – ჭიათურის სპორტკომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს, სპორტის ვეტერან მუშაკს;
**ლუკა მესხს** – ქ. თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშული სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელს.

## ფეხბურთელები დაბრუნდნენ...

18 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატიდან შინ დაბრუნების შემდეგ გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ვახტანგ კოპალეიშვილმა წარუმატებელი არ უწოდა მიღწეულს, მაგრამ კრიტიკულიც იყო და განაცხადა, რომ არ იხსნის პასუხისმგებლობას ხარვეზების გამო. განსაკუთრებით სამარცხვინო აღმოჩნდა ბოლო მატჩი ესპანელებთან. თუმცა, ეს შეხვედრა უმოტივაციო იყო, გუნდს, რომელსაც მაღალ ამოცანებს უსახავდნენ, გამანადგურებელი ანგარიშით არ უნდა წაეგო (1-4) და სახელს უნდა გაფრთხილებოდა.

## კალათბურთელები კი დღეს ბრუნდებიან...

**კადეტ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატიდან ჩვენი ნაკრები თბილისში დღეს, 27 ივლისს ბრუნდება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს გუნდმა მეოთხედფინალამდე მიაღწია, სადაც ფრანგებთან დამარცხდა მინიმალური ანგარიშით 91:94.**

## გიწვევთ შოთაძე და ბოსკამპი

დღეს, 27 ივლისს, 14 საათზე, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენციას გამართავენ საფეხბურთო კლუბ „დინამოს" პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი რომან შოთაძე და ამ კლუბისა და ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი.

## ეძღვნება გულო რცხილაძის ხსოვნას



ქართული სპორტის ამაგდარს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს გიორგი რცხილაძეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღის აღსანიშნავად, დღეს, 27 ივლისს, 13 საათზე, ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო და ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია აწარმოებენ თბილისის პირველობას ტანვარჯიშის სახეობებში (მიქსი).

**ლარის ოფიციალური კურსი 1 აშშ დოლარი – 1.8800 ლარი.**

საქართველო GEORGIA

## სეოკ-ის საიუბილეოდ!

# 10 დამოუკიდებელი ნაბიჯი ოლიმპიურ მოძრაობაში

## 1990–1991 წლები

ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება იძაბებოდა, სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა გარე სამყაროსთან ურთიერთობების საფუძვლები ნელ-ნელა გამოაცალა ყველას და ყველაფერს, განელდა ერის კულტურული ცხოვრების რიტმიც. ქვეყნის ყოფით ნაკარნახევი იძულებითი კორექტივები სეოკ-ს პრინციპულად არ შეჰქონდა თავის საქმიანობაში. დამკვიდრების ეტაპი თითქმის განვლილი იყო. დაფუძნებიდან ერთი წელიწადი, სადაც იყო გასრულდებოდა. ვემზადებოდით სესიის ჩასატარებლად, რომელზედაც ძირითადად გაწეული მუშაობის ანგარიშით წარვსდგებოდით.

რამდენიმე სტრიქონი იმ პერიოდის ჩანაწერებიდან: „1990 წლის 22 აგვისტო. სეოკ-ის აღმასკომის წევრები, სიძნელეების მიუხედავად, ოპტიმისტებად რჩებიან. გამოვდივართ წინადადებით გაისად ჩატარდეს შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშები. ვმსჯელობთ აგრეთვე სპორტის ეროვნულ სახეობებში და ხალხურ თამაშებში სრულიად საქართველოს ფესტივალის ჩასატარებლად. თუ რა გამოგვივა ასეთ მძიმე პირობებში, დრო გვიჩვენებს".

დრომ კი საუბედუროდ, მწარე განაჩენი გამოგვიტანა ჩვენც და ქვეყანასაც.

ერთ დღეს, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ანზორ ბურჯანაძე ტელეფონით შემეხმიანა — შევხვდეთ, საინტერესო წინადადებას გთავაზობთო. ეს კაცი, რომლის ჭეშმარიტ პატრიოტობაში არავის არასდროს შეუტანია ეჭვი, თანახმა იყო ჩვენთვის ბალანსიდან ბალანსზე გადმოეცა თავისი უწყების კუთვნილი რამდენიმე ჰექტარი ტერიტორია მცხეთის რაიონის სოფ. კარსანში. იმ დროისთვის იქ 700 ათასი მანეთის სამუშაოები უკვე შესრულებული იყო. ჩავედით, ვნახეთ. თვალწინ გადაიშალა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ჭალებში ჩაფლული შესანიშნავი ადგილი დასამთავრებელი სპორტული მოედნებით. გაღმიდან ჯვრის მონასტერი გადმოჰყურებს ამ მიდამოს. როგორც ეტყობა, იქაურობის ხელში ჩასაგდებად ჩვენამდე ვიღაც უკვე ჩასაფრებული იყო. ქვეყანაში არეულობაც დაემთხვა და სეოკი ვიღას გაახსენდა. აღარ გამოვდევნებივართ არც ის დაგვიკონკრეტებია თუ ვინ ამჯობინა პირადული ეროვნულს.

სეოკ-ის ბინის გამოყოფისთვის ბრძოლაში აშკარად დავინახეთ როგორ იცვლებოდნენ ადამიანები, როგორ უცხოვდებოდა ურთიერთობები. ნონა გაფრინდაშვილისთვის ყველგან, ყველა კარი ღია იყო და თუ შენობის გამოყოფის საკითხი ბოლოს და ბოლოს ჩვენს სასარგებლოდ მაინც გადაწყდა, ეს სეოკ-ის პრეზიდენტის უდიდესმა ავტორიტეტმა განაპირობა.

1990 წელს სიეტლმა კეთილი ნების თამაშებს უმასპინძლა. ჩვენები საკმაოდ იყვნენ წარმოდგენილნი საბჭოთა დელეგაციაში და წარმატებებიც თვალსაჩინო იყო. მაგრამ, ახლა, ამ სპორტულ ფორუმს ვიხსენებთ მხოლოდ იმიტომ, რომ თამაშების დღეებში კიდევ ერთხელ გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯი სეოკ-ის საგარეო ურთიერთობის სასიკეთოდ. როგორც სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, სიეტლში, ქალაქის გამაჯანსაღებელი კლუბების ხელმძღვანელებს შევხვდი. თუ საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები ჯერ კიდევ თავს იკავებდნენ ჩვენთან კონტაქტებისგან, გამაჯანსაღებელი პროფილის ორგანიზაციებს ხელს არაფერი უშლიდა და სიამოვნებით მოდიოდნენ ორმხრივ კავშირებზე. სიეტლელებმა თავად შემოგვთავაზეს საქართველოში ჩაგვეტარებინა მოყვარულთა ველოლაშქრობა დევიზით: „მეგობრობა, ველოსპორტი, ეკოლოგია". იგივე სურვილი გამოთქვეს იქაური რბენის მოყვარულთა კლუბების ხელმძღვანელებმაც. როგორც გაირკვა, კავკასიაში ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა მათთვის დიდი ხნის აუხდენელი ოცნება ყოფილა. სეოკ-ის აღმასკომმა ამ საკითხზე იმსჯელა. მზად ვიყავით დაგვეთქვა კონკრეტული თარიღი. შეიქმნა და კარგა ხანს იმუშავა საორგანიზაციო კომიტეტმა, მაგრამ... იმ ხანებში ქვეყანაში არასტაბილურობის გამო, არც ამ ჩანაფიქრს ეწერა განხორციელება. არადა, ეს იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის პირველი საერთაშორისო ველოლაშქრობა. გადარბენა ლაგოდეხიდან დაიწყებოდა და ფოთში დასრულდებოდა, გზადაგზა კი მათ შეუერთდებოდნენ ადგილობრივი ველომოყვარულები.

1990 წლის ზაფხულში სერიოზულად დავიწყეთ ოლიმპიური აკადემიის შექმნაზე ზრუნვა. ამ პროცესს სათავეში ჩაუდგა ავთანდილ ციბაძე. რამდენიმე ხანში საქმე წარმატებით გასრულდა და აკადემიის ხელმძღვანელობა სეოკ-ის აღმასკომმა თავად ავთანდილ ციბაძეს დაავალა.

სპორტის ოლიმპიურ სახეობათა რესპუბლიკური ფედერაციების უმრავლესობა, 1990 წლის ბოლოსთვისაც არ ჩქარობდა საკავშირო დაქვემდებარებიდან გამოსვლას. მათი მერყევი პოზიცია სეოკ-ს ერთგვარად ბოჭავდა. არ გაგვაჩნდა რეალური საფუძვლები პრინციპულად დაგვესვა, ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად, სოკ-ში გაწევრიანებისა და 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებლად ასპარეზობის საკითხი. ჩვენს ფედერაციებს სწორედ მომავალ ოლიმპიადაში მონაწილეობის გაურკვევლობა აშინებდათ. არც დაეძრახებოდათ. ერთის მხრივ არანაირი გარანტიები არ იყო, რომ საქართველოს სპორტსმენებს დამოუკიდებლად გამოსვლის უფლება მიეცემოდათ ბარსელონაში, მეორეს მხრივ, საკავშირო სპორტული ორგანიზაციებიდან არ ცხრებოდა მუქარა. სავსებით მოსალოდნელი იყო, რომ ცენტრში უარს იტყოდნენ საკავშირო ნაკრებში ჩვენი ათლეტების მიწვევაზე. საბჭოთა სპორტი ამით დიდად არ დაზარალდებოდა. ქვეყნის სპორტული ინდუსტრია კვლავ მძლავრობდა და სპორტის თითოეულ სახეობაში სათადარიგონი საკმაოზე მეტი ჰყავდათ. თანაც ხუან ანტონიო სამარანჩი ხშირხშირად მოძღვრავდა სოცბანაკს — „დანგრევას ნუ იჩქარებთო". იმავე პერიოდში სამარანჩმა კორესპონდენტის ერთ-ერთ შეკითხვაზე, თუ რა აშინებს ყველაზე მეტად, როგორც სოკ-ის პრეზიდენტს, უპასუხა, რომ ძალიან აშინებს ოლიმპიური მოძრაობის გათიშვისა და ბოიკოტის საფრთხე. ამიტომ არ იყო ძნელი ამოსაცნობი სამარანჩის პოზიცია სოციალისტური ქვეყნებისადმი.

სეოკ-ის სესიაზე, რომელიც 1990 წლის დეკემბერში გაიმართა, ნონა გაფრინდაშვილმა თავისი სიტყვა დაიწყო განცხადებით, რომ უარს ამბობს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში გამოსვლაზე და ნაკრების წევრებისთვის მინიჭებულ ყველა შეღავათზე. „ეს გადაწყვეტილება ქართული სპორტის ინტერესებსა და სუვერენიტეტისთვის ბრძოლაში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სტრატეგიულ კურსს შეესაბამება" — თქვა მან.

შთამბეჭდავი იყო ერთი წლის მუშაობის შედეგები. სესიაზე ხშირად გაისმოდა სიტყვა „პირველად!" ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ისტორიამ მართლაც ბევრი რამ პირველად დააფიქსირა სეოკ-ის დაფუძნებიდან იმ ერთ წელიწადში.

თენგიზ გაჩეჩილაძე,

*(გაგრძელება იქნება)*

*დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 41-50, 52, 55.*

*სიდნეი-2000*

# ნიჩბოსნებს ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვების შანსი გაუჩნდათ

SYDNEY 2000

**მაშინ, როცა გვეგონა, რომ ნიჩბოსნობა საქართველოში შეიძლებოდა სპორტის მომაკვდავ სახეობებში აღმოჩენილიყო, ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა. თურმე მონდომება, გამოსავლის გზების ძიება და ერთობლივი ძალისხმევის ნებისმიერი პრობლემა შეიძლება გადაიჭრას.**

მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა გამოავლინოს ინიციატივა, ხომ უნდა იაქტიუროს და სხვებიც დაარწმუნოს თანადგომის აუცილებლობაში. ხელმიშვებული საქმე ყოველთვის დასაღუპავადაა განწირული და ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ. ნიჩბოსნობის ფედერაციის ბოლო შემადგენლობამ (პრეზიდენტი ბეჟან ხურციძე) ყველაფერი იღონა ტრადიციების აღსადგენად და პირველი ნაბიჯები შიდაშეჯიბრებების ჩატარებით გადადგა — ნიჩბოსნები საასპარეზოდ იკრიბებოდნენ ხან მცხეთაში, ხან ფოთში, ხან ბაზალეთზე, ხან თბილისში. პირველ ეტაპზე მთავარი ის იყო, რომ სპორტსმენებმა და სპეციალისტებმა ნიჩბოსნობის გადარჩენა ირწმუნეს. პარალელურად დაიწყო ბაზების აღდგენაზე და ინვენტარის შეძენაზე ზრუნვა. მერე დღის წესრიგში დადგა ეროვნული ნაკრების დაკომპლექტება, უცხოეთში გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობა. ყველაფერი ეს თანდათან მოვიდა. ფედერაციის ინტერესებს გაგებით მოეკიდნენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის და ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები. ერთობლივი ძალისხმევით რეალობად იქცა ის, რაც თითქმის წარმოუდგენლად მიაჩნდათ — ჩვენი ნიჩბოსნები, კერძოდ, კანოეს ოსტატები სიდნეის ოლიმპიადის საგზურისთვის იბრძოლებენ.

მთავარი ის იყო, რომ წლეულს ჩვენი ნიჩბოსნების პოლონეთში საწვრთნელ შეკრებაზე მივლინება მოხერხდა. ახალი ორადგილიანი კანოეც შეიძინეს. რითაც ჩვენმა ნიჩბოსნებმა ალეკო დვალიშვილმა და გიორგი კახიშვილმა ახლახან, ხორვატიაში გამართულ ევროპის პირველობაში 500 და 1000 მ. ოლიმპიურ დისტანციაზე იასპარეზეს. ჩვენმა წყვილმა, მართალია, XI ადგილი დაიკავა, მაგრამ სპეციალისტების აზრით ეს სულაც არ არის ურიგო. წვრთნის პირობების შენარჩუნებით თავდადებული მეცადინეობა, თუნდაც ერთი შეკრება; ახალი, ბოლო მოდელის ნავის გათავისება, საშეჯიბრო გამოცდილება და, რაც მთავარია, გამგზავრება მსოფლიოს ჩემპიონატზე, ჩვენებს უთუოდ მოუტანს სასურველ შედეგს — ოლიმპიური თამაშების ლიცენზიას. სალიცენზიო უმთავრესი შეჯიბრება კი მსოფლიოს ჩემპიონატია, რომელიც ერთ თვეში იტალიაში გაიმართება. ევროპის პირველობაში მონაწილე გუნდებს იქ ამერიკელები და კუბელები დაემატებიან. ლიცენზიას I — XII ადგილზე გასული ნიჩბოსნები მიიღებენ.

აქვე ვიტყვით, რომ ხორვატიამდე ზაგრებში ქართველთა წყვილმა მსოფლიოს თასის გათამაშებაში XIV ადგილი დაიკავა. ეს მათი პირველი შეჯიბრება იყო. ტიტულოვანთა შორის არატიტულოვანნი მხოლოდ ჩვენები იყვნენ. მათ უფრო მიიპყრეს ყურადღება და სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

— ზამთრის მომზადება რომ გაგვევლო და შეკრებებიც მოგვეხერხებინა, უკეთეს შედეგს ვაჩვენებდით, — თქვა „ლელოს" კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა სულიკო ციცქიშვილმა.

ც. ბაქრაძე

## წიგნის თარო

„ლელოს შვილები" – ასე ჰქვია გაბრიელ ბარჯაძის ავტორობით სულ ახლახან გამოცემულ წიგნს, რომელიც საქართველოში რაგბის დანერგვა-განვითარების ისტორიას ასახავს. ავტორი რამდენიმე ათეული წელია ქართველ მორაგბეთა შორის ტრიალებს და ეს აშკარად ემჩნევა კიდეც საქმის ცოდნით, მორაგბეთა სიყვარულით გაჯერებულ ნაშრომს. მკითხველი დიდი ინტერესით გაადევნებს თვალს ქართული რაგბის ისტორიას და ავტორის შემწეობით დამაჯერებლად გაავლებს მსგავსების პარალელს ქართულ ლელობურთთან.

უფროსი თაობის რაგბის გულშემატკივრები ამ წიგნში შეხვდებიან თავიანთ კერპებს – ცნობილ ქართველ მორაგბეებს და მათ მწვრთნელებს, გაიხსენებენ საამაყო წარსულს. წიგნში ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა აღნუსხული ქართველ ბორჯღალოსანთა წარმატებები. დღეს ესოდენ საჭირო წიგნების გამოცემა პრობლემაა, ალბათ, ვერც ეს ნაშრომი იხილავდა სამზეოს ავტორისთვის რომ ფინანსური დახმარება არ გაეწია წარსულში ცნობილ მორაგბეს გენადი დ.ადუას.

ავტორი ერთგან წერს: „რაგბი უყვართ ქართველ ბიჭებს, რადგან ისინი ლელოს შვილები არიან". ჭეშმარიტად!




*ფორმულა-1*

## ირვინი — შუმახერის შემდეგ ღირსეული მეტოქე

ტრავმირებული შუმახერის შემდეგ ედი ირვინმა ღირსეული მეტოქეობა გაუწია ლიდერებს, მათ შორის მიკა ჰაკინენს. მორიგი ეტაპი — ავსტრიის გრან პრი ირვინმა (ფერარი) დამაჯერებლად მოიგო. თავიდანვე ჰაკინენი და დევიდ კულტჰარდი (ორივე მაკლარენ მერსედესი) გაიჭრნენ წინ და ირვინი, რომელიც მესამე პოზიციაზე იყო, საკმაოდ ჩამოიტოვეს. მაგრამ ირვინმა თანდათან შეამცირა მანძილი და კულტჰარდს წამოეწია, ჰაკინენი ერთ-ერთ მრბოლს შეეჯახა და ძვირფასი დრო დაჰკარგა. მერე დახმარება თვით ირვინსა და კულტჰარდსაც დასჭირდათ, მაგრამ ფერარის პილოტმა აქაც იყოჩაღა — ტრასას ლიდერად დაუბრუნდა. უპირატესობა ირვინმა ბოლომდე შეინარჩუნა და წლეულს მეორე გრან პრი მოიგო. კულტჰარდი ეტაპის ფინიშთან მეორე იყო, ჰაკინენი — მესამე.

# მაია ჩიბურდანიძე: შეუპოვრად ვემზადებოდი, ვნახოთ!

*(პირველი გვერდიდან)*

უდებელი დახმარება გამიწია. შეიძლება ითქვას, ამ საკმაოდ ძვირი შეკრებების ხარჯის 80 პროცენტი სწორედ ჭადრაკის ამ უანგარო გულშემატკივარმა გაიღო. მე, ჩემს მუდმივ მწვრთნელ, საერთაშორისო ოსტატ ხვიჩა სუპატაშვილთან ერთად, მოვიწვიე ჯერ ცნობილი თეორეტიკოსი, ისე კი, ახალგაზრდა დიდოსტატი კონსტანტინ საკაევი (სანკტ-პეტერბურგი), რომელიც ასევე თამაშობს ლას-ვეგასში, შემდეგ კი თეორიის კიდევ ერთი ჩინებული მცოდნე, ასევე ახალგაზრდა სპეციალისტი, დიდოსტატი ანდრეი ხარიტონოვი (მოსკოვი). დანარჩენ მოწვეულ მწვრთნელებს, თუ ნებას მომცემთ, არ დაგისახელებთ.

● ***თქვენი ნებაა. ერთი სიტყვით, თქვენ ერთდროულად ემზადებოდით, როგორც ლას-ვეგასისათვის, ისე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატისათვის, რომელიც კიშინიოვში ტარდება. ლას-ვეგასში თქვენ პირველ წრეში ერევნელ დიდოსტატ ვლადიმირ აკოფიანს ხვდებით. ადრე თუ გითამაშიათ მასთან?***

— ერთხელ, მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე ლიუცერნში (შვეიცარია), სადაც, თუ გახსოვთ, საქართველოს ქალთა ნაკრები სხვადასხვა ქვეყნების უძლიერეს ვაჟთა ნაკრებებს ეთამაშებოდა. აკოფიანი ძალიან შეუპოვარი მოჭადრაკეა, რაც იმ შეხვედრაშიც გამოჩნდა. შეიძლება ითქვას, კარგად ვთამაშობდი და მოსაგები პოზიციაც მქონდა, მაგრამ, ერთ მომენტში, ეტყობა, ავჩქარდი და აკოფიანმა შეუპოვარი დაცვით, წარმოიდგინეთ 100 სვლის შემდეგ მიაღწია კიდევაც ყაიმს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. აკოფიანთან ახლანდელ მზადებას ერთი თვე მოვანდომე. ისე რომ, ვნახოთ. სხვა მეტოქეებთან შეხვედრისთვის არ მოვმზადებულვარ, არავინ იცის, რა მოხდება ამ პირველ მატჩში.

● ***ახლა, თუ შეიძლება, ქალთა შეჯიბრებებზე ვილაპარაკოთ.***

— დავიწყოთ იმით, რომ ფიდემ ვერ გაართვა თავი ქალთა შორის მსოფლიო პირველობის ორგანიზაციის საკითხებს. ხომ ვერ მოეწყო შარშან სიე ჟუნისა და ალისა გალიამოვას საპრეტენდენტო მატჩი და გალიამოვა დაისაჯა. წელს ვერაფერი მოუხერხდა ჟუჟა პოლგარისა და სიე ჟუნის მატჩს. როცა პოლგარს მსოფლიო ჩემპიონობა ჩამოართვეს, ეს წოდება, ყველა წესის თანახმად ჩინელისთვის უნდა გადაეცათ. არა, ისევ გალიამოვას მიუბრუნდნენ. ერთი სიტყვით, პრეტენდენტთა დონეზე არ ათამაშეს, და ახლა მსოფლიო ჩემპიონობაზე მატჩი შესთავაზეს. ახლა მეორე საკითხზე ვილაპარაკოთ. 3 სექტემბერს კიშინიოვში უნდა დაწყებულიყო მსოფლიო ჩემპიონატი ახალი, ნოკაუტ-სისტემით. ჩვენც ამ თარიღისათვის ვემზადებოდით, მაგრამ ეს ტურნირი გაურკვეველი დროით გადაიდო. რატომ? ჯერჯერობით ჩვენთვის არაფერი აუხსნიათ. შეიძლება, შერცხვათ კიდეც ახალი მსოფლიო ჩემპიონისა, რომლის ვინაობას ასე, დაახლოებით აგვისტოს შუა რიცხვებში შევიტყობთ. ცოტა კომიკურიც (უფრო სწორად, ტრაგიკომიკური) კია, რომ ახალ მსოფლიო ჩემპიონს უფლებამოსილება სულ ორი კვირის განმავლობაში ექნებოდა, ორი წლის ნაცვლად. გაგონილა?! ახლა როდის დაიწყება შეჯიბრება კიშინიოვში, ჯერჯერობით, არ ვიცით, ისე კი, მეტი რაღა ჩარაა, გეგმები უნდა შევიცვალოთ.

● ***წარმატებას გისურვებთ ჯერ ლას-ვეგასში, სადაც, რაც შეიძლება, მეტი წრე გაგევლოთ, შემდეგ კი იმავე კიშინიოვში, ადრე დაკარგულის დაბრუნებას. ამის შესაძლებლობა ნამდვილად გაქვთ.***

— დიდი მადლობა. ვნახოთ.

ესაუბრა
ბივი ბამრეკელი

ლელო გამოიწერეთ ლელო

## ჩემპიონთა ლიგა

# ხვალ, 28 ივლისს

***ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდი პირველთან შედარებით გაცილებით უფრო საინტერესო უნდა გამოდგეს, ვნახოთ, ვინ ხვდება ხვალ ერთმანეთს.***

კიევის „დინამო“ (უკრაინა) — ვილნიუსის „ჟალგირისი“ (ლიტვა).
„ჰაკა“ (ფინეთი) — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია).
„სლოგა იუგომაგნატი“ (მაკედონია) — „ბრონდბიუ“ (დანია)
ბელგრადის „პარტიზანი (იუგოსლავია) — „რიეკა“ (ხორვატია)
„ვესტმაინაიაიერი“ (ისლანდია) — ბუდაპეშტის მტკ (უნგრეთი)
ბუქარესტის „რაპიდი“ (რუმინეთი) — რიგის „სკონტო“ (ლატვია
ვენის „რაპიდი“ (ავტსრია) — „ვალეტა“ (მალტა)
„ლიტექსი“ (ბულგარეთი) — ლოძის „ვიძევი“ (პოლონეთი)
„ანორტოსისი“ (კვიპროსი) — ბრატისლავას „სლოვანი“ (სლოვაკია)
„დნეპრ-ტრანსმაში“ (ბელორუსია) — აიკ-ი (შვეცია)
სტამბოლის „ბეშიქთაში“ (თურქეთი) — ჰაიფის „ჰაპოელი“ (ისრაელი)
„მარიბორი“ (სლოვენია) — „გენკი“ (ბელგია)
და, რა თქმა უნდა
„დინამო“ (თბილისი) — „ზიმბრუ“ (კიშინიოვი)

# ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოსვლა...

*(პირველი გვერდიდან)*

ტურნირში ულიმღამო გამოსვლას კინაღამ გუნდის მწვრთნელი სემიონ ალტმანი შეეწირა.

წლეულს ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდი „ზიმბრუმ“ (რომლის კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია – 6,166) მეტისმეტად რიხიანად დაიწყო. მის მეტოქეს დუბლინის „სენტ-პატრიკს ატლეტიკს“ კოეფიციენტი კიდევ უფრო დაბალი, სულ რაღაც 0,916 ჰქონდა და მოლდაველებს წარმატებასაც უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა, რა თქმა უნდა, ასეთი ანგარიშით არა.

პირველ მატჩში, რომელიც 14 ივლისს „დუბლინში გაიმართა, სტუმრებმა უკვე პირველ ტაიმში სამი გოლი გაიტანეს. ეს ორჯერ ბერკომ გააკეთა, ერთხელ კი ვპურიანუმ. მეორე ტაიმში ჯერ ბორეცმა, შემდეგ კი იმავე ეპურიანუმ დაასრულეს „სეპტ-პატრიკს ატლეტიკის“ განადგურება – 5-0. ამის შემდეგ ფაქტობრივად უკვე გამოვლინდა თბილისის „დინამოს“ მეტოქე. მეორე მატჩს უფრო ფორმალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და ასეც მოხდა.

განმეორებითი შეხვედრა 21 ივლისს გაიმართა კიშინიოვში და აღინიშნა ზუსტად ისეთივე ანგარიში, როგორც პირველ მატჩში – 5-0. პირველ ტაიმში ანგარიში აქაც 3-0 იყო. გოლები გაიტანეს ტროპანეცმა (2) და ბორეცმა, მეორე ტაიმში კი ჯერ იმავე ბორეცმა, თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე კი ოპრიამ 11-მეტრიანით კვლავ „მაჟორულ ნოტაზე“ დაასრულეს შეხვედრა.

„ზიმბრუ“ ახლა მოლდავეთის ნაკრების საბაზო გუნდია, და, როგორც ექსპერტები თვლიან, შარშანდელთან შედარებით გარკვეული პროგრესი აქვს. როგორც იტყვიან, ვნახოთ...

## ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრა • III ეტაპი

*ჩელსი (ინგლისი) – რაპიდი, ბუქარესტი (რუმინეთი) ან სკონტო რიგა (ლატვია)*
*რაპიდი ვენა (ავსტრია) ან ვალეტა (მალტა) – გალათასარაი (თურქეთი)*
*ფიორენტინა (იტალია) – ლიტექსი (ბულგარეთი) ან ვიძევი (პოლონეთი)*
*ოლბორგი (დანია) – დინამო კიევი (უკრაინა) ან ჟალგირისი (ლიტვა)*
*ცსკა (რუსეთი) ან მიოლდე (ნორვეგია) – მალიორკა (ესპანეთი)*
*ლიონი (საფრანგეთი) – მარიბორი (სლოვენია) ან გენკი (ბელგია)*
*კროაცია (ხორვატია) – ვესტმაიერი (ისლანდია) ან მტკ ბუდაპეშტი (უნგრეთი)*
*ტეპლიცე (ჩეხეთი) – ბორუსია დორტმუნდი (გერმანია)*
*ჰიკი (ფინეთი) ან რეინჯერსი (შოტლანდია) – პარმა (იტალია)*
*იუგომაგნატი (მაკედონია) ან ბრონდბიუ (დანია) – ბოავიშტა (პორტუგალია)*
*აეკი (საბერძნეთი) – დნეპრ ტრანსმაშ-მოგილევი (ბელარუსია) ან აიკი (შვედეთი)*
*ბეშიქთაში (თურქეთი) ან ჰაფოელი ჰაიფა (ისრაელი) – ვალენსია (ესპანეთი)*
*ჰერტა (გერმანია) – ანორთოსისი (კვიპროსი) ან სლოვან ბრატისლავა (სლოვაკეთი)*
*დინამო თბილისი (საქართველო) ან ზიმბრუ კიშინიოვი (მოლდოვა) – ეინდჰოვენი (ჰოლანდია)*
*სპარტაკი (რუსეთი) – პარტიზანი ბელგრადი (იუგოსლავია) ან რიეკა (ხორვატია)*
*შტურმი (ავსტრია) – სერვეტი (შვეიცარია)*
*პირველი შეხვედრები გაიმართება 10-11 აგვისტოს და განმეორებითი შეხვედრები 24-25 აგვისტოს.*

# ევროპის 100 საუკეთესო კლუბი

*უეფამ გამოაქვეყნა ევროპის 100 საუკეთესო საფეხბურთო კლუბის რეიტინგი სამი ტურნირის – ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფას თასებზე. მოპოვებული შედეგების მიხედვით თითოეულ მოგებაზე, როგორც ეს მიღებულია კოეფიციენტების გამოთვლით, გუნდს ორი ქულა ერიცხებოდა, ფრეზე კი – ერთი.*



*„იუვენტუსი“ – იტალიის 1997-98 წლების ჩემპიონი.*

სულ მცირე უპირატესობით – ერთი ქულით პირველ ადგილზე გავიდა ტურინის „იუვენტუსი“, რომელმაც ამ სამ ტურნირში 38-ჯერ მიიღო მონაწილეობა. ჩაატარა 283 მატჩი, აქედან 166 მოიგო, 53 ფრედ დაასრულა და 64 წააგო, ბურთების სხვაობაა 515-241, „იუვენტუსმა“ მოაგროვა 385 ქულა.

384 ქულა აქვს „ბარსელონას“, რომელიც, ამ შეჯიბრებებში მეტჯერ, 43-ჯერ მონაწილეობდა: 301 მატჩი ჩაატარა, 158 მოიგო, 68 ფრედ ითამაშა, 75 წააგო, 590 გოლი გაიტანა და 332 მიიღო.

მესამე ადგილზე მადრიდის „რეალია“: 42 მონაწილეობა, 292 მატჩი, 165 მოიგო, 49 ფრე, 78 წაგება, ბურთები 621-308, 379 ქულა.

დანარჩენი კლუბები ამ სამ ფავორიტს მკვეთრად ჩამორჩებიან: 4. მიუნხენის „ბაიერნი“. 5. ლისაბონის „ბენფიკა“. 6. მილანის „ინტერი“, 7. მარსელის „ანდერლეჰტი“. 8. ამსტერდამის „აიაქსი“. 9. „მილანი“. 10. „ლივერპული. 11. ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“. 12. მადრიდის „ატლეტიკო“. 13. „გლაზგო რეინჯერსი“. 14. კიევის „დინამო“. 15. „კიოლნი“, 16. „პორტუ“. 17. გლაზგოს „სელტიკი“. 18. „მანჩესტერ იუნაიტედი“. 19. მოსკოვის „სპარტაკი“. 20. როტერდამის „ფეიენოორდი“. 21. ლისაბონის „სპორტინგი“. 22. მენხენგლადბახის „ბორუსია“. 23. „ჰამბურგერ შპორტფერაინი“. 24. პსვ „ეინდჰოვენი“. 25. „რომა“. 26. ბუდაპეშტის „ფერენცვაროში“. 27. ვენის „რაპიდი“. 28. „ვალენსია“. 29. „ბრიუგე“. 30. ლიეჟის „სტანდარდი“. 31. „გეტებორგი“. 32. ბუქარესტის „სტიაუა“. 33. დორტმუნდის „ბორუსია“. 34. სოფიის ცსკა. 35. „ლიდს იუნაიტედი“. 36. სპლიტის „ჰაიდუკი“. 37. ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური“. 38. მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტი“. 39. ზაგრების „დინამო“ (იუგოსლავია) ანუ ახლანდელი „კროაცია“ (ხორვატია). 40. პრაღის „სპარტა“ (ჩეხეთი). 41. ბუდაპეშტის „უიპეშტი“ (უნგრეთი). 42. „დანდი იუნაიტედი“. 43. „ბორდო“. 44. ციურიხის „გრასჰოპერსი“. 45. ვენის „აუსტრია“. 46. ფლორენციის „ფიორენტინა“. 47. ბილბაოს „ატლეტიკი“. 48. ათენის „პანათინაიკოსი“. 49. პირეოსის „ოლი-

იხ. მე–5 გვ.

# ინტერტოტოს თასზე

პერუჯა — ტრაბზონსპორი 1-3 (პირველი მატჩი 2-1); ბაზელი — ჰამბურგი 2-3 (1-0); ჯოკერტი — ვესტჰემი 1-1 (0-1); მეცი — ლოკერენი 0-1 (2-1); როსტსელმაში — ვარტექსი 0-1 (2-1); ავსტრია — სენტ ტრიუდენი 1-2 (1-0); იუვენტუსი — ჩაჰლოული 0-0 (1-1); ჰამარბი — ჰერენვენი 0-2 (0-2); მონპელიე — ესპანიოლი 2-1 (2-0); დუისბურგი — ქოჩაელისპორი 0-0 (3-0); რენი — ავსტრია ლუშტენაუ 1-1 (1-1); ვაშაში — პოლონია 1-2 (0-2).

## მომდევნო ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან:

**მეცი — პოლონია; როსტსელმაში — იუვენტუსი; დუისბურგი — მონპელიე; რენი — სენ ტრიუდენი; ტრანზოსპორი — ჰამბურგი; ვესტჰემი — ჰერენვენი.**

FIFA COPA CONFEDERACIONES MEXICO 1999

მექსიკაში დაიწყო ფეხბურთში კონფედერაციის თასის ტრადიციული გათამაშება. ზოგიერთი გუნდი, მათ შორის საფრანგეთის ნაკრები ვერ დაიყოლიეს ორგანიზატორებმა, რამაც ერთგვარად გააუფერულა კიდეც ეს ტურნირი. A ჯგუფში ბოლივიამ და ეგვიპტემ ფრედ 2-2 ითამაშეს, მექსიკელებმა საუდის არაბეთის გუნდს სძლიეს 5-1. მანამდე B ჯგუფში გაიმართა შეხვედრები: ბრაზილია – გერმანია 4-0; ახალი ზელანდია – აშშ 1-2.



# „რაინდული საქართველოვ, აღსდექ!“

## „გაქვთ კი ქართველებს საბრძოლო ხელოვნებების სისტემები?“



ვახუშტი ბატონიშვილი ბრძანებს ქართველთა შესახებ: „ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი; შავ თვალ-წარბ-თმოსანნი; წერწეტნი, უმეტეს ქალნი, იშვიათ სქელნი, მხნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფნი; სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყვარენი; სტუმართა და უცხოთ მოყუარენი; მხიარულნი, გონიერნი, მსწრაფლ მიმხდომნი, მჩემებელნი, სწავლით მოყუარენი; გარნა თუ სძლიან ვინმე მძლავრთაგანნი, არა დაუმორჩილონ, არამედ კვალად იპყრონ თვისნივე წესნი და არა დაუტევიან ღმერთნი და მეფე და ჩვეულებანი“..

არა მგონია სულიერი და ფიზიკური თვისებების ჰარმონიული შეხამების უკეთესი სურათი დახატოს ვინმემ. ქართველობით არ მოსდის ეს ვახუშტის. აქ არაფერია გადაჭარბებული. თუ არა ასეთი ადამიანები, საქართველოს მარტო მაღალი მთები, გაუვალი ხევ-ხევები და უსიერი ტყეები ვერ იხსნიდა ისტორიის საბედისწერო ქარტეხილებისაგან.

ქართველები განეკუთვნებით ისეთ უძველეს ხალხთა მოდგმას, რომლებიც მოვხვდით კაცობრიობისათვის ცნობილ პირველსავე ომების საშინელ მორევში ჩვ.წ. აღ-მდე მესამე ათასწლეულში. განვითარებულ ქვეყნებში, ულამაზეს და ბარაქიან მიწა-წყალზე – მესოპოტამიის დაბლობიდან კავკასიონის მთისწინეთამდის – აღმოცენდებოდნენ და გამძვინვარებულ ომებად გადაიქცეოდნენ ხოლმე მაშინდელი ტომთაშორის წინააღმდეგობანი, რომლებიც პირისაგან მიწისა ალგავდნენ დიდ თუ პატარა ხალხებს. მათ შორის მხოლოდ ყველაზე უძლიერესნი, უფრო სიცოცხლის უნარიანნი და შრომისმოყვარენი გადარჩებოდნენ და აგრძელებდნენ ბრძოლას არსებობისათვის. ისინი ეზიარებოდნენ ბრძოლების მსვლელობის იმ დროისათვის არსებულ მოწინავე ხელოვნებასა და შრომის ორგანიზაციას. მხოლოდ ერების უნიკალურმა ერთეულებმა გადაირჩინეს სამხედრო განადგურებისაგან თავი და მოაღწიეს დღევანდლამდე. ისინი კანონიერად გახდნენ უძვირფასეს საბრძოლო ხელოვნებათა საგანძურის შემნახველები და მემკვიდრეები.

ქართველ ხალხს, ქართულ საბრძოლო ხელოვნებას ამ კუთხით ბედმა გაუღიმა და ქართულმა საბრძოლო ხელოვნებამ უძველესი მსოფლიოს ყველაზე ძლევამოსილ ქვეყნებთან და მხედართმთავრებთან თითქმის უწყვეტ ბრძოლებში შეიცნო სამხედრო ხელოვნების მწვერვალები.

სწორედ ამ უძველეს ბრძოლებში გამოიყენებოდა და იხვეწებოდა ქართული საბრძოლო ხელოვნება, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ყველაფერი ეს განსაზღვრავდა ქართველთა გამარჯვებებს ბევრად უფრო მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეებზე, სადაც ქართველები მშვენივრად იყენებდნენ თავიანთ გეოგრაფიულ პირობებსა (ლანდშაფტსა) და ერში ჩადებული (არსებული) ხალხური ორთაბრძოლის სკოლების ტრადიციებს. ზუსტად ამ თვისებებმა მისცა ქართველებს საშუალება გაეძლოთ და გადარჩენილიყვნენ, როგორც ერი.



*ხევსურული ფარიკაობა (ორი პოზიცია)*

დამარცხების სიმწარე გადაბუგული მიწები, დანგრეული ქალაქები, სოფლები და ციხე-სიმაგრეები, მაგრამ გაუტეხავი ხალხი! იგი ფერფლიდან ფენიქსივით ხელახლა იბადებოდა და შემდგომ ისევ აღწევდა ბრწყინვალე გამარჯვებებს მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეთა ძალებზე.

ქართველები ამით ისეთ სამხედრო დიდებას იხვეჭდნენ მსოფლიოში, რომ ბევრი სახელოვანი მტერი თავს არიდებდა საქართველოზე შემოსევას და არჩევდა მასთან სამხედრო კავშირის დამყარებას. ასეთები იყო რომი და ბიზანტია, რომლებიც ათასხუთასი წლის განმავლობაში თავიანთ აღმოსავლურ ბურჯად სთვლიდნენ იბერიელებს – ყველაზე ვაჟკაც და უშიშარ მებრძოლებს, რომლებიც მუსრს ავლებდნენ სპარსელებს, პართიელებსა და სხვებს, როგორც რომის ჯარებთან კოალიციაში, ასევე დამოუკიდებლადაც. ასეთ ვარდნა-აღმავლობაში ვაჟკაცდებოდა საქართველო, მისი მრავალრიცხოვანი კუთხეები, მათი საბრძოლო სული, ორთაბრძოლის ინდივიდუალური ხელოვნებები. არაბებთან უწყვეტ ომებში, მონღოლების შემოსევებში თემურ-ლენგთან, ირანელებთან და თურქებთან ბრძოლებში გაიწაფა ქართველთა საბრძოლო ხელოვნება.

სპარსეთი თუ თურქეთი გამუდმებით, მალულად იტაცებდა ჩვენს ბიჭებსა და გოგოებს და ჰყიდდა მათ მთელი მსოფლიოს ქვეყნებში. დიდად ფასობდა ქართველი და ჩერქეზი მეომრები. რამდენი ქართველი ვაჟკაცი „მამლუქებად“ ან ევროპული ქვეყნების რაინდებად ქცეულან. რამდენჯერ გამოუჩენიათ თავი უცხო ქვეყანაში სხვისი ინტერესების დასაცავად და რამდენი ბედუკუღმართობის გამო, ჩვენი სისხლი და ხორცი „ხვიჩები და გოჩები“ შერკინებიან ერთმანეთს ცხარე ბრძოლებში უცხო ქვეყნების ინტერესებისათვის, „ვაი ნენაო“ ამოხდომის შემდეგ, ცხარედ უტირიათ და ზედ დაკვდომიან თანამემამულეს.

**იური ყეინაშვილი,**
**საბრძოლო ხელოვნებების ოსტატი.**
სპეციალურად „ლელოსათვის“
*(გაგრძელება იქნება)*

დასაწყისი იხ. „ლელო“, №53, 54, 56

# „ახალი ვან ბასტენი“? ვინ იცის!

„მილანის“ მეპატრონე სილვიო ბერლუსკონი 1998-99 წლების სეზონის დაწყებამდე, უმძიმესი მარცხის შემდეგ, ახალ მწვრთნელ ალბერტო ზაკერონისაგან მხოლოდ ერთ რამეს მოითხოვდა — ბრძოლისუნარიანი გუნდის შექმნას. ჩემპიონობაზე ლაპარაკი არ ყოფილა, თუ კლუბი ე.წ. „უეფას ზონაში“ გავიდოდა, ხომ კრაგი, თუ არა და...

ახლა სულ სხვა სიტუაციაა. ზაკერონიმ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, „მილანი“ ჩემპიონია, ეს კი თავისთავად ახალ პრობლემებს ქმნის. ხომ უნდა იბრძოლოს კლუბმა წოდების შესანარჩუნებლად? რა თქმა უნდა! ჩემპიონთა ლიგაში ხომ უნდა გამოვიდეს წარმატებით, თუმცა ეს „სკუდეტოსთან“ შედარებით, იტალიური ტრადიციის თანახმად, მაინც მეორეხარისხოვან ფაქტორად ითვლება, რა თქმა უნდა!

„მილანი“, ისევე, როგორც სხვა ყველა წამყვანი იტალიური კლუბი, დიდ სატრანსფერო სამუშაოს ატარებდა. ახალ შეძენილი მოთამაშეებიდან კი მაინც ანდრეი შევჩენკოსა და ბრაზილიელ სერჟინიოს გამოჰყოფენ. მათზე ახლა ბევრს წერს იტალიური პრესა. ის, რომ შევჩენკო ექსტრა კლასის თავდამსხმელია, ამაზე არავინ დავობს. მას უწოდებენ „ახალ ვან ბასტენს“, „აღმოსავლეთელ რონალდოს“, „ახალ მეფეს“, „ეშმაკს“. თუმცა არიან პესიმისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ უკრაინელი ფეხბურთელი „მილანში“ მთელ თავის ძალას ვერ გამოამჟღავნებს. ამ უზარმაზარ ქალაქში ხომ უამრავი ცდუნებაა, შევჩენკომ შეიძლება რეჟიმი დაარღვიოს. იხსენებენ მარადონას ნარკოტიკებსა და პოლ გასკოინის ლოთობას, კიდევ ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელის დაღუპვას. ამიტომ, მთელი „მილანი“ აპირებს დაეხმაროს შევჩენკოს. მალე დასძლიოს ადაპტაციის პერიოდი, მალე აჩვენოს თავისი ნამდვილი ძალა, შეეჩვიოს სრულიად ახალ ატმოსფეროსა და პირობებს.

ერთი მილანელი, რომელიც შევჩენკოს მხარში უნდა ამოუდგეს, ხორვატი ნახევარმცველი ზვონიმირ ბობანი გახლავთ.

— არ მაეჭვებს, რომ შევჩენკო მეტისმეტად ნიჭიერი ფეხბურთელია. მის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ვითამაშე ხორვატია - უკრაინის ნაკრებების მატჩებში მსოფლიოს წინა პირველობაზე. ეჭვგარეშეა, იგი ნამდვილი ვარსკვლავია, მაგრამ დრო სჭირდება, რომ ახალ პირობებსა და ახალ გუნდს შეეჩვიოს. აქ ბევრი რამ ჩვენზე, ვეტერანებზეც არის დამოკიდებული. თავიდან მხარდამჭერი სჭირდება, შემდეგ კი ყველაფერს დამოუკიდებლად გააკეთებს.

რაც შეეხება კლუბის ხელმძღვანელობას და მთავარ მწვრთნელ ძაკერონის, ისინი აცხადებენ, რომ შევჩენკოს სათანადო დროს მისცემენ, ამიტომაც აპირებდნენ იანვარში მილანში ჩაყვანას. ისინი თვლიან, რომ თავდამსხმელმა ლობანოვსკის მკაცრი სკოლა გაიარა და ამდენად რეჟიმს დაიცავს კიდეც.

2 აგვისტოდან შევჩენკო ითამაშებს სამთა ტურნირში, რომელიც პარიზში გაიმართება „მილანის“, „პარი სენ-ჟერმენისა“ და „ბაიერნის“ მონაწილეობით. 21 აგვისტოს „მილანი“ იტალიის სუპერთასზე „პარმას“ შეხვდება, აგვისტოს ბოლო რიცხვებში კი იტალიის ჩემპიონატი დაიწყება.



ანდრეი შევჩენკო (თეთრი მაისურით)

შევჩენკოს გარდა, „მილანში“ თამაშს იწყებს ევროპაში ნაკლებად ცნობილი ბრაზილიელი მცველი სერჟინიო. თუმცა იგი ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელ ვანდერლეი ლუქსემბურგოს ერთ-ერთი ფავორიტია. ბრაზილიაში წინათ არაერთი სერჟინიო იყო, ახლანდელი კი, მიმომხილველთა აზრით, ყველა მათგანს გადაასწრებს.

სერჟინიო დაიბადა 1971 წლის 27 ივნისს ნილოპოლისში. ეს ბერძნულად, ნილოსის ქალაქს ნიშნავს, სინამდვილეში კი სხვა არა არის რა, თუ არა რიო დე-ჟანეიროს ერთ-ერთი ჩვეულებრივი გარეუბანი. თამაში დაიწყო უმნიშვნელო კლუბ „იტაპერუნაში“, შემდეგ გამოდიოდა პოპულარულ „ფლამენგოში“, „კრუზეიროსა“ და „სან-პაულუში“. „სან-პაულუმ“ იგი „მილანს“ 17 მილიარდ ლირად (დაახლოებით 10 მილიონი დოლარი) დაუთმო. კონტრაქტი ოთხწლიანია.

სერჟინიო მარცხენა მცველია. ჟურნალ „პლაკარის“ შარშანდელი კლასიფიკაციით იგი ბრაზილიაში ამ ამპლუის მოთამაშეთაგან სიძლიერით მეორედ მიიჩნიეს სილვინიოს შემდეგ, მაგრამ გაასწრო ჟილბერტოსა და ფელიპეს. 1999 წლის პირველ ნახევარში სერჟინიოს რეპუტაცია კიდევ უფრო განმტკიცდა საკმაოდ კურიოზული ფაქტის გამო — მან 14 გოლი გაიტანა, აქედან 7 სან-პაულუს შტატის 18 ოფიციალურ მატჩში, მეტი, ვიდრე კლუბის გოლეადორებმა დოდომ და მარსელინომ. მართალია, სერჟინიო ნომინალური მცველია, მაგრამ მთელ მარცხენა ფრთაზე თამაშობს, მეტად ხშირად უტევს, დიდებულად ურტყამს საჯარიმოებს. ბუნებრივად იბადება მისი შედარება ვანდერლეი ლუქსემბურგოს კიდევ ერთ ფავორიტ რობერტო კარლოსთან. ვინ უნდა ითამაშოს ნაკრებში? ჯერჯერობით თამაშობს მადრიდის „რეალის“ მცველი, მაგრამ ზოგი მიმომხილველის აზრით, სერჟინიო უფრო ძლიერია. ეს, რა თქმა უნდა, საკამათო საკითხია.

ევროპაში გამომგზავრების წინ, ინტერვიუში სერჟინიომ ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ბავშვობიდანვე, ისევე, როგორც ბევრი ბრაზილიელი ფეხბურთელი, „ფლამენგოში“ თამაშზე ოცნებობდა. მაშინაც კი, როცა „იტაპერუნაში“ ირიცხებოდა, მწვრთნელი ფეხბურთელებს „ფლამენგოს“ ჰიმნს ამღერებდა და ახალგაზრდა ფეხბურთელებს ეუბნებოდა: „თავდაუზოგავად ივარჯიშეთ, ვინ იცის, იქნება ოდესმე „ფლამენგოში“ მოხვდეთ“. როცა სერჟინიო მართლაც მიიწვიეს „ფლამენგოში“, მას მთელი „იტაპერუნა“ აცილებდა. მართალია, მისი კარიერა ამ პოპულარულ კლუბში ხანმოკლე და მარცხიანი აღმოჩნდა, უკვე 6 თვეში „კრუზეიროში“ გადავიდა. რატომ ვერ გაუმართლა „ფლამენგოში“? თვით ფეხბურთელი თვლის, რომ მისთვის, ცოტა არ იყოს, ადრე იყო ესოდენ ძლიერ კლუბში თამაში, აი „კრუზეიროში“ კი, სადაც არ იყო „ფლამენგოსათვის“ ჩვეული აჟიოტაჟი, მშვიდად აიმაღლა ოსტატობა და თანდათან ჩამოყალიბდა. რომ „ფლამენგოში“ ადგილის მოპოვება ძალიან ძნელია, ეს ამ კლუბში რონალდოს ხანმოკლე ყოფნამაც დაადასტურა.

„კრუზეიროდან“ სერჟინიო 1995 წელს გადავიდა „სან-პაულუში“, თანაც, ცოტა არ იყოს, უცნაურ პირობებში. აი, რას ამბობს ამის შესახებ თვით სერჟინიო:

— ეს გადასვლა მრავალ მილიონთან და მრავალ მოთამაშესთან იყო დაკავშირებული. საქმე ის არის, რომ ჩემს ნაცვლად „კრუზეირომ“ კომპენსაციის სახით ხუთი კარგი ოსტატი მიიღო: ვიტორი (იგი ადრე მადრიდის „რეალში“ გამოდიოდა), პალინია („მალიორკაში“ გამოდის), ჟიომარი (თამაშობს „სარაგოსაში“), ალინტონი (მისი შეძენა კარგა ხნის განმავლობაში „ლა-კორუნიას“ სურდა) და დონიზეტე (ლისაბონის „ბენფიკაში“ გამოდიოდა). ეს გადასვლა პირდაპირ უნიკალური იყო.

კიდევ ერთი რამ: მარცხენა მცველი სერჟინიო გადადის კლუბში, სადაც თამაშობს პაოლო მალდინი, რომელსაც მსოფლიოში უძლიერესი... მარცხენა მცველის რეპუტაცია აქვს!

— გინდათ შემეკითხოთ, რას ვფიქრობ ამ ფაქტზე? ეს მეტად მახალისებს. მალდინით ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი, მაგრამ ჩემს თავსაც პატივს ვცემ.

აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მალდინის შეუძლია თავისი ადგილი სერჟინიოს დაუთმოს. იგი ხომ არანაკლები ოსტატობით თამაშობს დაცვის ცენტრშიც.

ერთი სიტყვით, „მილანს“ ორი ახალწვეული ჰყავს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ვარსკვლავებს უწოდებენ. მეორე მხრივ, ვარსკვლავი რომ ვარსკვლავია, მასაც არაერთი პრობლემა შეექმნება ხოლმე, მით უმეტეს, ახალ გარემოცვაში, ახალ კლუბში.

თუ როგორ დაძლევენ შევჩენკო და სერჟინიო ამ პრობლემებს, ამას, რა თქმა უნდა, მომავალი გვიჩვენებს.

**ბივი გამრეკელი**

## ვარსკვლავების მომრავლებამ შეაშინა?

შვეიცარიელი თავდამსხმელი სტეფან შაპიუზა (73 მატჩი ეროვნულ ნაკრებში) დორტმუნდის „ბორუსიიდან“, სადაც 8 სეზონი ითამაშა, ციურიხის „გრასხოპერსში“ გადავიდა. 30 წლის შაპიუზამ გერმანულ კლუბში 218 მატჩი გამართა და 102 გოლი გაიტანა.

„გრასხოპერსმა“ ტრანსფერში 1 მილიონი შვეიცარიული ფრანკი (650 ათასი დოლარი) გადაიხადა. შაპიუზას შვეიცარიაში დაბრუნებას იმით ხსნიან, რომ „ბორუსიამ“ ორი ახალი, ფართოდ ცნობილი თავდამსხმელი ფრედი ბობიჩი და ვიქტორ იკპება იყიდა. გარდა ამისა, მას ჰყავს ისეთი ოსტატი, როგორიც ჰაიკო ჰერლიხია. ასეთ პირობებში გერმანულ კლუბში შაპიუზასათვის ნამდვილად ადგილი აღარ რჩებოდა.

აღნიშნავენ იმასაც, რომ „გრასხოპერსს“ ინვესტირების მთელი ჯგუფი გამოუჩნდა და მას შესაძლებლობა აქვს მნიშვნელოვნად გააძლიეროს შემადგენლობა.

## „რეალის“ განახლება გრძელდება

ამდენი ახალი ფეხბურთელი მადრიდის „რეალს“ კარგა ხანია არ შეუძენია. სულ ახლახან შედგა ჟურნალისტებისა და გულშემატკივრებისათვის „რეალ-ვალიადოლიდიდან“ გადმოსული 20 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველ ჟული-სეზარის წარდგენა. მასთან ხუთწლიანი ხელშეკრულება გაფორმდა. საინტერესოა, რომ ახალგაზრდა ბრაზილიელს ესპანეთის მოქალაქეობის მიღება და იქ სამუდამოდ დარჩენა სურს. მის გარდა, დამსწრეებს წარუდგინეს 20 წლის კოლუმბიელი თავდამსხმელი ედვინ კონგო, რომელიც კარგად თამაშობდა ამასწინანდელ „Copa America“-ზე, კამერუნელი ნახევარმცველი ჟერემი, რომელიც თურქულ კლუბ „გენჩლერ-ბირლიგიში“ გამოდიოდა, და კიდევ ერთი შუა ხაზის მოთამაშე როდრიგი, რომელმაც წინა სეზონი „ფლამენგოში“ გაატარა.

## ფრანგები დააჯარიმეს

ევროკავშირის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მსოფლიოს 1998 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ორგანიზატორები სიმბოლური თანხით — 1000 ევროთი დააჯარიმოს „ბილეთების გაყიდვის დისკრიმინაციული სისტემისათვის“.

ევროკავშირი თვლის, რომ ბილეთების გაყიდვაში, მათი 65 პროცენტის საფრანგეთის ფარგლებში გავრცელებით დაირღვა საზღვარგარეთელი გულშემატკივრების უფლებები. დასაწყისში აპირებდნენ ფრანგების დაჯარიმებას გაყიდული ბილეთებით მიღებული თანხის 10 პროცენტით, ეს კი დაახლოებით 14 მილიონ დოლარს შეადგენდა, მაგრამ შემდეგ განაჩენი მეტისმეტად შეარბილეს, რადგან საორგანიზაციო კომიტეტმა პირველივე მოთხოვნისთანავე შეცვალა ბილეთების რეალიზაციის სისტემა.



## დე ლა პენია – მარსელში

რომის „ლაციოს“ ესპანელი მოთამაშე ივან დე ლა პენია (ადრე „ბარსელონაში“ გამოდიოდა) ახლა იჯარის წესით მარსელის „ოლიმპიკში“ გადავიდა.

მასთან ერთად მარსელში ჩავიდა არგენტინის ნაკრებისა და „რივერ პლეიტის“ მცველი ედუარდო ბერიცო. მისი ტრანსფერი 20 მილიონ ფრანგულ ფრანკს (3,3 მილიონ დოლარს) შეადგენს.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ციმბალარი „ბეშიქთაშში“?

როგორც თურქული გაზეთი „ჰიურიეთი“ იუწყება, სტამბოლის კლუბმა „ბეშიქთაშმა“ წინასწარ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი მოსკოვის „სპარტაკის“ ნახევარმცველ ილია ციმბალართან. ციმბალარს გერმანიაში სამედიცინო გამოკვლევას უტარებს „ბეშიქთაშის“ ექიმი ფარუკ დურბინი. აი, რა განაცხადა თურქული კლუბის წარმომადგენელმა თანკუტ დინჩმა:

— თუკი გაირკვევა, რომ ციმბალარს ჯანმრთელობის თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე აქვს, დაუყოვნებლივ მოვაწერთ ხელს კონტრაქტს.

ეს ტრანსფერი, თურქული პრესის ცნობით, 3 მილიონ დოლარს შეადგენს.

## ვინ შეცვლის დიდას?

მეკარე დიდამ ჩინებულად ითამაშა „Copa Amerika“-ზე და „კრუზეირო“ დატოვა. მისი საბოლოო არჩევანი ჯერაც ბუნდოვანია, მაგრამ „კრუზეირომ“ ხომ შემცვლელი გოლკიპერი უნდა ეძებოს. ვინ? ჯერჯერობით ლაპარაკია განთქმულ ხოსე ლუის ჩილავერტზე და ბრაზილიის ნაკრების ყოფილ მეკარე კლაუდიო ტაფარელზე.

## „მფრინავი ჰოლანდიელი“

გლენ ჰელდერი (4 მატჩი აქვს ნათამაშევი ჰოლანდიის ნაკრებში) ერთ კლუბში დიდხანს არა ჩერდება. მან თამაში ამსტერდამის „აიაქსში“ დაიწყო, შემდეგ გამოდიოდა როტერდამის „სპარტაში“, „ვიტესში“, ლონდონის „არსენალში“, ლისაბონის „ბენფიკასა“ და „ბრედაში“.

ახლა ჰელდერმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი უნგრეთის ჩემპიონ მტკ-სთან.

## კიდევ სამი წლით

ჰოლანდიელ მწვრთნელ ლუის ვან გაალს „ბარსელონაში“ დიდი წარმატებები კი აქვს, მაგრამ არც კრიტიკა აკლია. მწვრთნელს უმთავრესად იმიტომ უტევენ, რომ „ბარსელონა“ მის ხელში არც კატალონურ კლუბს ჰგავს და არც ესპანურს, მისი გამორჩევა ჰოლანდიურისაგან ძალზე ძნელია, ასეთი მიდგომის უარყოფითი შედეგები კი, ადრე თუ გვიან, თავს იჩენს.

ასეა თუ ისე, „ბარსელონის“ დირექტორატმა გადაწყვიტა ჯერჯერობით არ გარისკოს და ვან გაალს კონტრაქტი კიდევ სამი წლის გაუგრძელა. ოღონდ ამიერიდან მხოლოდ ესპანეთის ჩემპიონატში წარმატებები საკმარისი არ იქნება — ახლა „ბარსელონამ“ ევროპულ ასპარეზზე უნდა გამოიჩინოს თავი.

## სამორანო „ინტერს“ ტოვებს?

„Copa America“-ს დამთავრების შემდეგ ივან სამორანომ განაცხადა, რომ ჩილეს ნაკრებში თამაშს აღარ აპირებს, სადაც წლების განმავლობაში წამყვან როლს ასრულებდა. მისთვის ადგილი აღარც მილანის „ინტერში“ მოიძებნება, სადაც ძალიან ბევრი ვარსკვლავი დაგროვდა. ასეთ პირობებში განთქმულმა გოლეადორმა მიიღო სტამბოლის „ფენერბახჩეს“ წინადადება, მაგრამ ჯერჯერობით ყოყმანობს.



რებროვი (თეთრ მაისურში)

## რებროვს „პანათინაიკოსი“ ეპატიჟება

კიევის „დინამომ“, რომელიც, როგორც ცნობილია, შევჩენკომ და ლუჟნიმ დატოვეს, ახალი, სრულიად კონკრეტული წინადადება მიიღო. ათენის „პანათინაიკოსი“ მას 17 მილიონ დოლარს სთავაზობს თავდამსხმელ სერგეი რებროვში. ათენური კლუბი ერთადერთი როდია, ვისაც რებროვის დაუფლება სურს. მასზე რამდენიმე ცნობილი ევროპული გუნდიც „ნადირობს“.

– თუ კიევიდან სადმე წავედი, მხოლოდ იმ ქვეყანაში, რომლის გუნდიც ლიდერთა შორისაა და ევროპულ თასებზეც გამოდის. ქვეყანასაც დიდი მნიშვნელობა აქვს – მომწონს იტალია, ესპანეთი, ინგლისი, საფრანგეთი, – ამბობს რებროვი.

## ევროპის 100 საუკეთესო კლუბი

*(მესამე გვერდიდან)*

მპიაკოსი". 50. „სარაგოსა". 51. „ნაპოლი". 52. სტამბოლის „გალათასარაი". 53. ვარშავის „ლეგია". 54. დრეზდენის „დინამო". 55. „შტუტგარტი". 56. „მონაკო". 57. „აბერდინი". 58. პრაღის „დუკლა". 59. მარსელის „ოლიმპიკი". 60. ბუქარესტის „დინამო". 61. „პარი სენ-ჟერმენი". 62. ლონდონის „არსენალი". 63. ბრემენის „ვერდერი". 64. „მალმე". 65. იენის „კარლ ცაისი" (ყოფილი გდრ). **66. თბილისის „დინამო",** რომელმაც 18 გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა, 81 მატჩი ჩაატარა, აქედან 39 მოიგო, 13 ფრედ დაასრულა, 29 წააგო, ბურთების სხვაობაა 114-101. გუნდმა მოაგროვა 91 ქულა. 67. ბუდაპეშტის „კიშპეშტ-ჰონვედი". 68. „ტორინო". 69. ბელგრადის „პარტიზანი". 70. ათენის აეკ-ი. 71. „კაიზერსლაუტერნი". 72. მოსკოვის „დინამო". 73. „ჰიბერნიანი". 74. ბრატისლავის „სლოვანი". 75. ლონდონის „ჩელსი". 76. „პარმა". 77. „მაგდებურგი" (ყოფილი გდრ). 78. ზაბჟეს „გურნიკი". 79. ლაიფციგის „ლოკომოტივი" (ყოფილი გდრ). 80. სოფიის „ლევსკი". 81. „ნანტი". 82. კრაიოვას „უნივერსიტატეა". 83. „სენტ-ეტიენი". 84. „ბრონდბიუ". 85. ინსბრუკის „ტიროლი". 86. ჟენევის „სერვეტი". 87. ენსხედეს „ტვენტე". 88. მოსკოვის „ტორპედო". 89. ლევერკუზენის „ბაიერი". 90. გელზენკირხენის „შალკე-04". 91. სტამბოლის „ფენერბახჩე". 92. რომის „ლაციო". 93. ტრონჰაიმის „როზენბორგი". 94. „იფსვიჩ თაუნი". 95. ბირმინგემის „ასტონ ვილა". 96. „ლიონი". 97. გენუის „სამპდორია". 98. „ოსერი". 99. ოსტრავის „ბანიკი". 100. ბუდაპეშტის მტკ.

## თასების ყველა მფლობელი



12.5. 1999 წ. მოსკოვი. უეფას თასის ფინალური მატჩის ფრაგმენტი. „პარმა" – „ოლიმპიაკი" 3-0 – იტალიელები მეორე გოლის გატანას ზეიმობენ

***ევროპულ კლუბებს შორის თასების ყველაზე დიდ კოლექციონერად ითვლება მადრიდის „რეალი". მან შვიდჯერ მოიპოვა ჩემპიონთა თასი, ორჯერ კი უეფას თასზე გაიმარჯვა.***

მადრიდელების შემდეგ მეორე ადგილი „ბარსელონას" უკავია – ერთხელ მოიგო ჩემპიონთა თასი, ორჯერ – თასების თასი და სამჯერ – უეფას თასი.

მესამე ადგილზე „მილანია" ჩემპიონთა თასზე ხუთჯერ და თასების მფლობელთა თასზე ორჯერ გამარჯვებით.

დიდი წარმატებები ჰქონდა ამსტერდამის „აიაქსსაც", რომელიც ოთხჯერ დაეუფლა ჩემპიონთ თასს, თითოჯერ – თასების მფლობელთა და უეფას თასებს.

„ლივერპული" ოთხჯერ ფლობდა ჩემპიონთა თასს, ორჯერ – უეფას თასს. ტურინის „იუვენტუსმა" ორჯერ გაიმარჯვა ჩემპიონთა თასზე, ერთხელ – თასების მფლობელთა, ხოლო სამჯერ – უეფას თასზე.

მიუნხენის „ბაიერნს" 5 გამარჯვება აქვს მოპოვებული: 3 – ჩემპიონთა, თითო – თასების მფლობელთა და უეფას თასებზე.

ასევე 5 გამარჯვება მოიპოვა მილანის „ინტერმა", ორჯერ ჩემპიონთა და სამჯერ – უეფას თასზე.

ასევე 3 გამარჯვება აქვს ბრიუსელის „ანდერლეჰტს, ორჯერ – თასების მფლობელთა და ერთხელ – უეფას თასზე.

ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა" ერთხელ მოიგო თასების მფლობელთა თასი, ორჯერ – უეფას თასი. ასეთივე შედეგები აქვთ „ვალენსიასა" და „პარმას".

ლისაბონის „ბენფიკამ" და „ნოტინგემ ფორესტმა" ორ-ორი გამარჯვება იზეიმეს ჩემპიონთა თასზე. „პსვ ეინდჰოვენმა" ერთხელ გაიმარჯვა ჩემპიონთა, ერთხელ კი – უეფას თასზე. დორტმუნდის „ბორუსიამ" ერთხელ მოიგო ჩემპიონთა, ერთხელ – თასების მფლობელთა თასი, „ჰამბურგერ შპორტფერაინმა" ერთხელ ჩემპიონთა, ერთხელ თასების მფლობელთა თასი. ლონდონის „ჩელსიმ" – ორჯერ თასების მფლობელთა თასი, იგივე წარმატება ჰქონდა კიევის „დინამოს". ლონდონის „არსენალმა" კი თითოჯერ მოიგო თასებისა და უეფას თასები, იგივე შეძლო „სარაგოსამ", როტერდამის „ფეიენოორდმა" თითოჯერ მოიგო ჩემპიონთა და უეფას თასები, „ლიდს იუნაიტედმა", მენხენგლადბახის „ბორუსიამ" და „გეტებორგმა" ორ-ორჯერ გაიმარჯვეს უეფას თასზე.

გლაზგოს „სელტიკს", ბირმინგემის „ასტონ-ვილას", ბუქარესტის „სტიაუას", „პორტუს", ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" და მარსელის „ოლიმპიკს" თითო გამარჯვება აქვთ მოპოვებული ჩემპიონთა თასზე.

„ფიორენტინას", მადრიდის „ატლეტიკოს", ლისაბონის „სპორტინგს", ლონდონის „ვესტ ჰემს", ბრატისლავის „სლოვანს", „მანჩესტერ სიტის", „გლაზგო რეინჯერსს", „მაგდებურგს", თბილისის „დინამოს", „აბერდინს", „ევერტონს", „მეხელენს", გენუის „სამპდორიას", ბრემენის „ვერდერს", „პარი სენ-ჟერმენს" და რომის „ლაციოს" თითო გამარჯვებები აქვთ მოპოვებული თასების მფლობელთა თასზე.

„რომას", ბუდაპეშტის „ფერენცვაროშს", ზაგრების „დინამოს", „ნიუკასლ იუნაიტედს", მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტს", „იფსვიჩ თაუნს", ლევერკუზენის „ბაიერს", „ნაპოლის" და გელზენკირხენის „შალკე-04"-ს თითო გამარჯვება უეფას თასზე.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# მსოფლიო ჩემპიონები გუშინ და დღეს

**რას აკეთებენ ფრანგი ფეხბურთელები, . რომლებმაც შარშან მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს? მათ ცხოვრებაში ამ ერთი სეზონის განმავლობაში დიდი ცვლილებები მოხდა.**

**1. ბერნარ ლამა.** მეკარე. 36 წლის. მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობა არ მიუღია. საბაზრო ღირებულება 5 მილიონი ფრანკი. მას შემდეგ, რაც „პარი სენ-ჟერმენმა" სეზონი მარცხიანად დაასრულა, შესაძლოა, ბრაზილიაში გაემგზავროს, სადაც დაამთავრებს კიდეც სპორტულ კარიერას. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებში



ზინედინ ზიდანი

სამჯერ ითამაშა, მეტჯერ, როგორც ჩანს, აღარ მიიწვევენ.

**2. ვენსან კანდელა.** მცველი. 27 წლის. მსოფლიო ჩემპიონატზე ერთ მატჩში ითამაშა. 40 მილიონი ფრანკი. კარგად თამაშობდა „რომაში", ნაკრებშიც სისტემატურად იწვევდნენ. ახლა „ინტერში" გადავიდა.

**3. ბიქსან ლიზარაზიუ.** მცველი. 29 წლის. მსოფლიო ჩემპიონატზე 6 მატჩი ითამაშა, 1 გოლი გაიტანა. 70 მილიონი ფრანკი. სისტემატურად თამაშობდა „ბაიერნში" (მიუნხენი), სეზონის ბოლოს კი დაშავდა. კვლავ რჩება ამ კლუბში.

**4. პატრიკ ვიეირა.** ნახევარმცველი. 23 წლის. მსოფლიო ჩემპიონატზე ორ მატჩში ითამაშა. 70 მილიონი ფრანკი. მთელი სეზონი ლონდონის „არსენალში" გაატარა, სადაც დიდად შრომისმოყვარე ფეხბურთელად, „შავ მუშადაც" კი ითვლება.

**5. ლორან ბლანი.** მცველი. 33 წლის. მსოფლიო ჩემპიონატზე ხუთ მატჩში ითამაშა, ერთი გოლი გაიტანა. 60 მილიონი ფრანკი. არა ჰქონდა მაინცდამაინც იღბლიანი სეზონი. მარსელის „ოლიმპიკში" საკმაო შეცდომები მოუვიდა, მილანის „ინტერში" მისი მიწვევა ბევრისთვის მოულოდნელი იყო.

**6. იური ჯორკაეფი.** ნახევარმცველი. 30 წლის. მსოფლიო ჩემპიონატზე 7 მატჩში მიიღო მონაწილეობა, 1 გოლი გაიტანა. 50 მილიონი ფრანკი. ბოლო სეზონი მარცხიანად წარმართა. დატოვა „ინტერი", არ სურს თამაში იტალიაში, ახალ კლუბს ეძებს.

**7. დიდიე დეშამი.** ნახევარმცველი. 6 მატჩი მსოფლიო პირველობაზე. 25 მილიონი ფრანკი. საკმაოდ მარცხიანი სეზონი ჰქონდა. დატოვა „იუვენტუსი" და ლონდონის „ჩელსიში" გადავიდა.

**8. მარსელ დესაიი.** მცველი. 30 წლის. 7 მატჩი მსოფლიო პირველობაზე. 45 მილიონი ფრანკი. „ჩელსიში" საკმაოდ მარცხიანი სეზონი ჰქონდა, ამიტომ აპირებს საფრანგეთში დაბრუნებას და კარიერის რომელიმე ადგილობრივ კლუბში დასრულებას.

**9. სტეფან გივარში.** თავდამსხმელი. 29 წლის. 6 მატჩი მსოფლიო პირველობაზე. 32 მილიონი ფრანკი. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ჯერ „ნიუკასლში" თამაშობდა, შემდეგ „გლაზგო რეინჯერსში" საკმაოდ წარმატებულად. ახლა უნდა საფრანგეთში და ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება.

**10. ზინედინ ზიდანი.** ნახევარმცველი. 27 წლის. 5 მატჩი (2 გოლი) მსოფლიო პირველობაზე. 130 მილიონი ფრანკი. არც ისე კარგი სეზონი ჰქონდა, რის შემდეგ მისი სატრანსფერო ღირებულება დაახლოებით ერთი მეოთხედით შემცირდა. ერთ სეზონს კიდევ „იუვენტუსში" გაატარებს, შემდეგ კი მადრიდის „რეალში" გადასვლას აპირებს.

**11. რობერ პირესი.** ნახევარმცველი. 26 წლის. 3 მატჩი მსოფლიო ჩემპიონატში. 60 მილიონი ფრანკი. ბევრისგან განსხვავებით, მსოფლიო პირველობის შემდეგ მარსელის „ოლიმპიკში" წარმატებით თამაშობდა. ახლაც მაღალი საბრძოლო მზადყოფნა აქვს.

**12. ტიერი ანრი.** თავდამსხმელი. 21 წლის. 6 მატჩი (3 გოლი) მსოფლიო ჩემპიონატში. 100 მილიონი ფრანკი. შუა სეზონში „იუვენტუსში" გადავიდა, სადაც წარმატებით ითამაშა. დიდი მომავლის მქონე ფორვარდად ითვლება.

**13. ბერნარ დიომედი.** თავდამსხმელი. 25 წლის. 3 მატჩი მსოფლიო პირველობაზე. 45 მილიონი ფრანკი. ცუდი სეზონი „ოსერში". ამ მოკლე ხანში უნდა გამოირკვეს, სად გააგრძელებს თამაშს.



დიუგარი

**14. ალენ ბოგოსიანი.** ნახევარმცველი. 28 წლის. 5 მატჩი მსოფლიო პირველობაზე. 50 მილიონი ფრანკი. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს. „პარმას" შემადგენლობაში დაეუფლა უეფას თასს.

**15. ლილიან ტიურამი.** მცველი. 27 წლის. 6 მატჩი (2 გოლი) მსოფლიოს პირველობაზე. 100 მილიონი ფრანკი. შესანიშნავი სეზონი ჰქონდა, უნდოდა „ინტერში" გადასვლა, მაგრამ „პარმა" თანახმა არ იყო და ამიტომ კვლავ ამ კლუბში ითამაშებს.

**16. ფაბიენ ბარტეზი.** მეკარე. 28 წლის. 7 მატჩი მსოფლიო პირველობაზე. 100 მილიონი ფრანკი. ახლა მისი გადაბირება ბევრ ევროპულ კლუბს სურს, მაგრამ ბარტეზი „მონაკოში" რჩება.

**17. ემანუელ პეტი.** ნახევარმცველი. 28 წლის. 6 მატჩი მსოფლიო პირველობაზე. 80 მილიონი ფრანკი. კვლავ ლონდონის „არსენალში" თამაშობს და წერს წიგნს მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ.

**18. ფრანკ ლებეფი.** მცველი. 31 წლის. 3 მატჩი მსოფლიო პირველობაზე. 40 მილიონი ფრანკი. წარმატებით თამაშობს ლონდონის „ჩელსიში", სადაც 2002 წლამდე აპირებს დარჩენას.

**19. კრისტიან კარამბე.** ნახევარმცველი. 29 წლის. 4 მატჩი მსოფლიო პირველობაზე. 30 მილიონი ფრანკი. მთელი წლის მანძილზე ვერ დამკვიდრდა მადრიდის „რეალში", თამაშობდა უფერულად. მისი მომავალი ბუნდოვანია.

**20. დავიდ ტრეზეგე.** თავდამსხმელი. 21 წლის. 6 მატჩი (1 გოლი) მსოფლიო პირველობაზე. არც ისე კარგი სეზონი ჰქონდა „მონაკოში", სთავაზობენ 15 მილიონ დოლარს, მაგრამ ახალგაზრდა ფორვარდი არსად წასვლას არ აპირებს.

**21. კრისტოფ დიუგარი.** თავდამსხმელი. 27 წლის. მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა 3 მატჩი, გაიტანა 1 გოლი. ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა მარსელის „ოლიმპიკში", თუ არ ჩავთვლით ბრალდებას დოპინგის გამოყენების შესახებ, რომელიც დადასტურებული არ არის.



ლიზარაზიუ

**22. ლიონელ შარბონიე.** მეკარე. 32 წლის. მსოფლიო ჩემპიონატზე, ისევე როგორც ლამას, არ უთამაშია, მაგრამ ოქროს მედალი, არსებული წესების თანახმად, მაინც მიიღო. 15 მილიონი ფრანკი. თამაშობდა „გლაზგო რეინჯერსში".

***შენიშვნა: დოლარი უდრის 6,15 ფრანკს.***

ახლა ზოგი რამ მწვრთნელებზე: **ემე ჟაკემ** შეწყვიტა აქტიური სამწვრთნელო საქმიანობა. ამჟამად მუშაობს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციაში და წერს წიგნს „მთელი ცხოვრება ერთი ვარსკვლავისათვის". **როჟე ლემერმა,** საფრანგეთის იერარქიული ტრადიციის თანახმად, მთავარი მწვრთნელის პოსტი დაიკავა. **ანრი ემილი** 20 წლის განმავლობაში მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა და ახლაც იგივე თანამდებობა უკავია. **ფილიპ ბერჟერო** მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ „პარი სენ-ჟერმენის" მეკარეებს წვრთნიდა, შემდეგ კი ამავე კლუბის მთავარი მწვრთნელი გახდა.

# 30 ივლისიდან, ლას-ვეგასში

**23. ენტონი მაილსი** (ინგლისი, 2609) — რალფ აკესონი (შვეცია, 2530). მაილსი პირველი ინგლისელი იყო, რომელმაც დიდოსტატის წოდება მოიპოვა. მას ერთხანს წარმატებები ჰქონდა, მაგრამ შემდეგ სერიოზული ავადმყოფობა გადაიტანა. ამ მატჩის ბედი ბუნდოვანია, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**24. დრაგოლიუბ ველიმიროვიჩი** (იუგოსლავია, 2663) — ვატუ კაბეზე (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, 2389). ასეა, წილისყრა ზოგჯერ ერთმანეთთან ორ უძლიერესს ახვედრებს, ზოგჯერ კი ისეთი წყვილი წარმოიქმნება, სადაც ყველაფერი წინასწარ გადაწყვეტილია. არც ისე დიდი ხნის წინათ ველიმიროვიჩს, რომელიც ძალიან ლამაზად. კომბინაციური სტილით თამაშობს, „პატარა ტალს" უწოდებდნენ.

**25. ჯონათან სპილმენი** (ინგლისი, 2601) — პაბლო რიკარდი (არგენტინა, 2527). სპილმენი. 20-30-ანი წლების განთქმული ვენელი დიდოსტატის რუდოლფ შპილმანის მოგვარე, რომელსაც, სხვათა შორის, თამაშის მწვავე სტილითაც ჰგავს, ამ მატჩში უდავო ფავორიტია. არგენტინელმა, რომელიც საერთაშორისო შეჯიბრებებში იშვიათად თამაშობს, ვერ უნდა გაუძლოს პრეტენდენტების ტურნირების მონაწილეს.

**26. კარენ ასრიანი** (სომხეთი, 2576) — ანდრეს როდრიგესი (რუგვაი, 2500). ამ მატჩს, ეტყობა, ახალგაზრდა სომეხი დიდოსტატი მოიგებს.

**27. ალექსანდრ ხალიფმანი** (რუსეთი, 2616) — დიბიენდუ ბარუა (ინდოეთი, 2538). გავიხსენოთ, რომ ხალიფმანმა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატიდან კინალამ თვით ანანდიც კი გამოთიშა, რომელთანაც სავსებით მოსაგებ ენდშპილში შეცდა. რა თქმა უნდა, მას ყველა შესაძლებლობა აქვს სძლიოს მეორე ინდოელს. ისტორია ხშირად როდი მეორდება...

**28. რაფაელ ლეიტაო** (ბრაზილია, 2559) — ამირ ბაგერი (ირანი, 2368). ვინც არ უნდა მოიგოს ეს მატჩი, მეორე წრეში კარგი არაფერი ელის.

**29. მიხაილ კრასენკოვი** (პოლონეთი, 2643) — ბარტოლომეი მაჩეია (პოლონეთი, 2553). უიშვიათესი შემთხვევაა, როცა ერთმანეთს პირველ წრეში ერთი ქვეყნის წარმომადგენლები ხვდებიან. კრასენკოვი, ეტყობა მოიგებს. იგი ადრე მოსკოველი იყო, საქართველოს ჩემპიონიც გახდა, ჯარში მსახურობდა, ახლა რამდენიმე წელია, პოლონეთის მოქალაქე გახდა. წინა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე წრეში აზმაიფარაშვილს მოუგო.

**30. ლივიუ დიტერ ნისიპეანუ** (რუმინეთი, 2594) — სტეფან ჯურიჩი (იუგოსლავია, 2517). ეს წყვილი ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ მასში გამარჯვებული მეორე წრეში ზურაბ აზმაიფარაშვილს შეხვდება, და, ამასთან, ქართველ მოჭადრაკეს არ უნდა გაუჭირდეს მოგება.

**31. ჰანეს სტეფანსონი** (ისლანდია, 2569) — ალექსანდრ ზუბარიოვი (უკრაინა, 2478). ისლანდიელი ოდესღაც ევროპის ჩემპიონი იყო ჭაბუკთა შორის, ზუბარიოვს შარშანდლამდე ოსტატობის კანდიდატის წოდება ჰქონდა. საინტერესო წყვილია.

**32. მათიას ვალსი** (გერმანია, 2609) — ალტინ ცელა (ალბანეთი, 2536). ვალსი გამოცდილი დიდოსტატია, უთამაშია საერთაშორისო ოლიმპიადებზეც, ალბანელ მოჭადრაკეს კი შარშანდელ შემოდგომამდე, როცა კუნძულ კრეტაზე, ზონალურ ტურნირში ქართველი დიდოსტატების მონაწილეობით, სენსაციურად მოიპოვა ლას-ვეგასის საგზური, საერთოდ არავინ იცნობდა. ახლა უნდა გავიგოთ, ეს შემთხვევითი წარმატება იყო თუ დამსახურებული.

**33. ჰიჩემ ჰამდუჩი** (მაროკო, 2564) — იმაკ იაკი (სირია, 2423). მსოფლიო ჩემპიონატების ამ ორი დებიუტანტის პრაქტიკული ძალა დიდი არ უნდა იყოს.

**34. უტუტ ადიანტო** (ინდონეზია, 2607) — დანიელ ფრიდმანი (ლატვია, 2529). ამ წყვილზეც შეიძლება დაახლოებით იგივეს თქმა, რაც წინაზე.

**35. ჟილბერტო მილოში** (ბრაზილია, 2586) — ალექსანდრ ივანოვი (აშშ, 2505). ბრაზილიელი ლას-ვეგასში ზონალური ტურნირის საგზურით მოხვდა, ივანოვი აშშ-ს საჭადრაკო ფედერაციისათვის გამოყოფილი ადგილით დაუშვეს. საინტერესოა, რომ ივანოვი საბჭოთა კავშირში ოსტატობის კანდიდატი იყო, აშშ-ში ოსტატიც გახდა და დიდოსტატიც.

**36. ივან სოკოლოვი** (ბოსნია, 2624) — სერგეი კუდრინი (აშშ, 2543). ბოსნიელმა წელს ორ სუპერტურნირში ითამაშა, ერთში — ვეიკ-ან-ზეეში თვით კასპაროვსაც კი მოუგო. კუდრინი საბჭოთა კავშირში, ივანოვისა არ იყოს, ოსტატობის კანდიდატი იყო, ახლა დიდოსტატია, მაგრამ სოკოლოვთან ძალიან გაუჭირდება.

ამრიგად, პირველი წრიდან მეორეში 36 გამარჯვებული გავა. იქ მათ დაემატებიან პერსონალურად მიწვეული, მაღალი რეიტინგის მქონე მოჭადრაკეები: ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2751), ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია, 2673), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2700), ილია სმირინი (ისრაელი, 2652), მაიკლ ადამსი (ინგლისი, 2716), ზოლტან ალმაში (უნგრეთი, 2665), სერგეი რუბლევსკი (რუსეთი 2684), ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი, 2723), იან ტიმანი (ჰოლანდია, 2670), პეტერ ლეკო (უნგრეთი, 2694), სერგო მოვსესიანი (ჩეხეთი, 2650, 20 წლის დიდოსტატი დაიბადა და გაიზარდა თბილისში, იგი უკვე რამდენიმე წელია პრაღაში ცხოვრობს თავის მშობლებთან ერთად და ამ ქვეყნის №1 მოჭადრაკე გახდა), პეტრე სვიდლერი (რუსეთი, 2713), კირილ გეორგიევი (ბულგარეთი, 2659), ევგენი ბარეევი (რუსეთი, 2679), იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2677), ვადიმ ზვიაგინცევი (რუსეთი, 2658), მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ანატოლ კარპოვი (რუსეთი, 2710), კონსტანტინ საკაევი (რუსეთი, 2649), ბორის გელფანდი (ისრაელი, 2691), მეტიუ სადლერი (ინგლისი, 2667), გატა კამსკი (აშშ, 2720), ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო, 2681), სერგეი შიპოვი (რუსეთი, 2662), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2714), ალექსანდრ ბელიავსკი (სლოვენია 2650), ნაიჯელ შორტი (ინგლისი, 2697), ვალერი სალოვი (რუსეთი, 2670), ალექსეი შიროვი (ესპანეთი, 2726).

თუ ვინმემ რაიმე მიზეზით თამაშზე უარი განაცხადა, ამ შემთხვევაში ფიდემ გამოაცხადა სარეზერვო ჯგუფიც: 1. ულფ ანდერსონი (შვეცია). 2. ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი), 3. ალექსეი დრეევი (რუსეთი), 4. ვადიმ მილოვი (შვეიცარია). 5. პრედრაგ ნიკოლიჩი (ბოსნია), 6. არტურ იუსუპოვი (გერმანია).

ბივი ბამრეკელი

დასაწყისი იხ. „ლელო", №56

## „ტოტო-ლოტო" – მილიონთა თამაში!

*25 ივლისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის ოცდამეცხრე გათამაშებით.*

«**ლოტო 6-42**»-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
**3. 6. 11. 27. 30. 31.**
3 ციფრი – 0.80 ლარი.
4 ციფრი – 6.00 ლარი.
5 ციფრი – 551.53 ლარი – გადავიდა მომდევნო ტირაჟში.
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

**„ჯეკ-პოტი" 37 729 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7"**-ის მომგებიანი ციფრებია: **4. 7. 2. 0. 0. 0. 0.**
**შემდეგი** ტირაჟი შედგება 1 აგვისტოს
ტირაჟის დროს მომენტალური ლატარიების „გოლი-98"-ის და „ოლიმპის" მოუგებელი ბილეთების გათამაშებისას აღნიშნული ლატარიების ბილეთების კომპლექტები და 26 სექტემბერს ჩასატარებელ პირველ ტელეგათამაშება „გოლი + ოლიმპი"-ზე დასწრების უფლება წილად ხვდათ:
ლატარია „ოლიმპ"-ში – მაკა კანდელაკს (თბილისი) – ბილეთის №192129
ნათია თორაძეს (თბილისი) – ბილეთის №089030
ლატარია „გოლი-98"ში სერგო კვინჩიას (თბილისი) – ბილეთის №02652-098
იური ჩოგოვაძეს (თბილისი) – ბილეთის № 02615-057.
მომავალ კვირას ასეთივე სახით გათამაშდება ლატარია „ლოტო-6-42"-ის მოუგებელი ბილეთები, რომლებშიც მინიმუმ ოთხი ვარიანტი უნდა იყოს შევსებული.
ჩააბარეთ ბილეთები გამავრცელებლებს! გათამაშება გაიმართება ყოველ კვირადღეს.
***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი





## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

სპორტი ცისფერ ეკრანზე
27-29 ივლისი

**27 ივლისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ასპარეზი (23.25). ***II არხი.*** სუპერმატჩი (20.00). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** რიო-დე-ჟანეიროს ფინალი (13.15), „ჩემპიონთა ლიგის არქივი": „იუვენტუსი" – „ოლიმპიაკოსი" (16.00, 23.25), ***НТВ плюсспорт.*** საწყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი (22.00), ***ESPN.*** ფეხბურთი: ევროპის ჩემპიონატის საკლასიფიკაციო მატჩები. სლოვენია – პორტუგალია (1.00), უეფა. „აიაქსი" – „ასტონ ვილა" (0.30). ***EUROSPORT.*** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (11.30, 15.00, 16.00, 17.45, 18.45, 20.15, 21.30), ფეხბურთი. იუნიორთა ევროპის პირველობა (13.30).

**28 ივლისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის საკლასიფიკაციო მატჩი (II რაუნდი). – „დინამო" (თბ.) – „ზიმბრუ" (კიშინიოვი) – 19.55. ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ევრიკა. „სტუმარი" (21.00). ***НТВ.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ცსკა – „მიოლდე" (ნორვეგია) – 21.00. ***НТВ плюс футбол.*** კონფედერაციის თასი. საუდის არაბეთი – ბოლივია (13.15, 19.40), მექსიკა – ეგვიპტე (15.30, 21.45), ჩემპიონთა ლიგა. საკლასიფიკაციო მატჩები (23.30). ***ESPN.*** ფეხბურთი: ევროპის ჩემპიონატის საკლასიფიკაციო მატჩები. რუსეთი – საფრანგეთი (19.00), „ფიორენტინა" – „პანათინაიკოსი" (0.30). ***EUROSPORT.*** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი. (11.30, 13.30, 16.00, 18.30, 18.45, 20.00, 1.45), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მიმოხილვა (23.45).

**29 ივლისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***ევრიკა.*** „ფეხბურთის ლეგენდები" (21.35). ***НТВ плюс футбол.*** კონფედერაციის თასი. გერმანია – ახალი ზელანდია (13.15, 20.00). ბრაზილია – აშშ (17.15, 21.55), ჩემპიონთა ლიგის საკლასიფიკაციო მატჩების მიმოხილვა (23.40). ***ESPN.*** ფეხბურთი: ევროპის ჩემპიონატის საკლასიფიკაციო მატჩები. რუსეთი – საფრანგეთი (13.00), ინგლისი – ბულგარეთი (18.00). ***EUROSPORT.*** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (11.30, 16.00, 18.30, 20.5, 2.00). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. საკლასიფიკაციო მატჩები (13.30), ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (0.00).

## ფინალში: აშშ და რუსეთი



ჩოგბურთელ ქალთა ფედერაციის თასი იგივეა, რაც დევისის თასი ვაჟებისათვის. კვირას დამთავრდა ნახევარფინალური მატჩები. რომში აშშ-ს ნაკრებმა ანგარიშით 4:1 სძლია მასპინძელთა გუნდს. სილვია ფარინამ მოულოდნელად მოუგო განთქმულ მონიკა სელეშს.

მოსკოვში რუსეთის ნაკრებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხა სლოვაკიის გუნდი.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს ვეტერან წყალში მხტომელს, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ლიანა ცოტაძეს მამის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს კოლეგა-ჟურნალისტს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომელს მარადი ანასაშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს კოლეგა-ჟურნალისტს საქართველოს რადიოდან თამილა კახიძეს დისშვილის

მალხაზ ელიოზიშვილის გარდაცვალების გამო.

## კროსვორდი

**თარაზულად:** 12-18. „ლაციოს" მეკარე, 16-20. „იუვენტუსის" პრეზიდენტი. 19-22. გერმანელი თავდამსხმელი, მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონი, 23-25. ბრაზილიელი ფორვარდი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, 24-27. არგენტინელი თავდამსხმელი, მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონი, 26-27. წარსულში ცნობილი ფრანგი სპორტული ჟურნალისტი, 28-31. ბაქოს „ნეფტჩის" და ერევნის „არარატის" ყოფილი თავდამსხმელი, 30-32. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 33-34. პირველი იაპონელი ოლიმპიური ჩემპიონი ტანვარჯიშში, 37-41. იტალიელი თავდამსხმელი, მსოფლიოს 1970 წლის ვიცე-ჩემპიონი, 43-46. ცნობილი ბრაზილიელი მწვრთნელი ფეხბურთში, 45-46. ევროპის მე-9 საფეხბურთო ჩემპიონატში გამარჯვებული ქვეყანა, 48-49. ბელგიელი ნახევარმცველი, ოთხი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, 51-54 იტალიელი მცველი, მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი, 53-54. ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე, 62-64. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის 1921-27 წლებში, 63-65. აღმოსავლური ორთაბრძოლა, 66-68. უკრაინის საფეხბურთო კლუბი, 69-71. კანადელი სპრინტერი, ატლანტის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი, 74-76. ურუგვაელი თავდამსხმელი, მსოფლიოს 1930 წლის ჩემპიონი, 77-79. ამერიკელი მძლეოსანი, 1968 წლის მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი, 80-82. სამაგიდო თამაში, 81-84. არგენტინელი ნახევარმცველი, მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონი, 83-85. თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი 1960-69 წლებში, 86-87. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 88-94. „პარმას" და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი, 90-91. ძველებური ჩინური სამაგიდო თამაში, 95-98. ბრაზილიელი მცველი, მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონი, 97-100. „ფიორენტინას" მცველი, 98-99. წარსულში გამოჩენილი კანადელი ჰოკეისტი.

**შვეულად:** 1-60. ესპანელი თავდამსხმელი, ევროპის 1964 წლის ჩემპიონი, 2-50 კუბელი მოკრივე, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 3-70. რუსი დიდოსტატი, 4-36. „არსენალის" ნიგერიელი თავდამსხმელი, 5-84. მოსკოვის „სპარტაკის" და რუსეთის ნაკრების ნახევარმცველი, 6-75. ლეგენდარული ჩეხი მეკარე, 7-38. ნაგებობა მიზანში სროლისათვის, 8-57. „მილანის" და იტალიის ნაკრების ყოფილი მცველი, 9-99. რუსი დიდოსტატი, სსრკ-ს ჩემპიონი 1948-49 წლებში, 10-78. ურუგვაელი თავდამსხმელი, მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონი, 11-100. ქართველი მოჭიდავე, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 13-91. ბრაზილიელი ნახევარმცველი, მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონი, 14-35. 70-80-იანი წლების ცნობილი ბრაზილიელი ფორვარდი, 15-92. „ციურიხის" და საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, 17-74. წარსულში ცნობილი შვედი თავდამსხმელი, 1948 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 21-29. „მილანის" ფრანგი ფეხბურთელი, 21-47. ა. ღოღობერიძის მეტსახელი, 22-49. მადრიდის „რეალის" და ესპანეთის ნაკრების მცველი, 39-56. წარსულში ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი, 40-98. ზამთრის XIV ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილი, 42-100. „ფრაიბურგის" ქართველი ლეგიონერი, 44-72. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 46-64. ქუთაისის რაგბის კლუბი, 48-99. რუსი დიდოსტატი, სსრკ-ს ჩემპიონი 1963, 1965 და 1966 წლებში, 52-92. მადრიდის „რეალის" თავდამსხმელი, 55-96. მადრიდის „რეალის" ხორვატი ნახევარმცველი, 58-103. მადრიდის „რეალის" და ესპანეთის ნაკრების მცველი 70-80-იან წლებში, 59-104. „ტოტენჰემის" ფრანგი ფეხბურთელი, 61-89. ბრაზილიელი მეკარე, მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონი, 67-100. მსოფლიოს მე-8 საფეხბურთო ჩემპიონატის თილისმა, 73-93. „მილანის" თავდამსხმელი, 77-102. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 79-105. „ვალენსიას" რუმინელი ფეხბურთელი, 82-101. მარსელის „ოლიმპიკის" და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრების მცველი.



**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
**თარაზულად:** 7. პროსტი, 8. კატამარანი, 9. აგასი, 11. ისარი, 12. იპონი, 15. ბოსკამპი, 16. ატლანტა, 17. პიერო, 18. „ლაციო", 23. რალი, 24. ფიდე, 25. ირბი, 27. ბაია, 30. გაფრინდაშვილი, 32. გეო, 35. ესებუა, 36. მეფე, 38. აფრა, 41. რაპიდი, 43. „სპარტაკი", 44. ტირი, 45. მეხიკო. **შვეულად:** 1. ფორა, 2. აია, 3. კასტორია", 4. ყაიმი, 5. პაპი, 6. მარადონა, 9 ა — გდება, 10. სენსეი, 13. ატაცი, 14. იააფი, 19. ოლიმპიადა, 20. ბრიჯი, 21. ალი, 22. გრაფი, 26. დაშნა, 28. ალექსეევი, 29. კიი, 31. ნენე, 33. ქულა, 34. ლახტი, 36. მედალი, 37. ეტაპი, 39. ფილა, 40. იერო, 42. პელე.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 3 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლg3!
1. ...მფe4 2. ე:e4X. 1. ... e4 2. კe6X.
1. ...d3 2. ლ:d3X. 1. ...მფ c4 2. ლb3X.
1. ...c4 2. ლ:e5X. 1. ...მფ d6 2. ლ:e5X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე